# სახალხო გაზეთი

№ 594 ოთხშაბათი, 9 მაისი, 1912 წ. № 594

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირებს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


**დღევანდელ ნომერში 12 გვერდია ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის განცხადებით.** (1—1248—1)

ხუთშაბათს 10 მაისს წლის თავზე

**პოლკოვნიკ მიხეილ ბეჟანის ძე მაჭუტაძის**

გარდაცვალებისა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოს ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა. წირვა დაიწყ. დილ. 10 საათზე. წირვის შემდეგ განსვენებულის საფლავზე 11½ საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი და ძეგლის კურთხევა, რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ქვრივი **ივლიტა გიორგის ასული მაჭუტაძისა**, შვილებით. (1—435—1)

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 7 მაისს გარდაიცვალა

**კნ. ელისაბედ რევაზის ასული ვახვახიშვილისა,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ შვილები: **მელანია რევაზის ასული, კნ. ვიზიროვისა, ანასტასია რევაზის ასული ვახვახიშვილისა, მარიამ რევაზის ასული წერეთელი, ნინო რევაზის ასული პროზოროვისა, სიმონ, ალექსანდრე, დავით, ლევან და კონსტანტინე რევაზის ძენი ვახვახიშვილები.** პანაშვიდი ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სამშაბათს, საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა ოთხშაბათს, 9 მაისს. (2.429.2)

ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 7 მაისს გარდაიცვალა

**კნ. ელისაბედ რევაზის ასული ვახვახიშვილისა,**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ **მამა რევაზ ქაიხოსროს ძე თ-დი ვაჩნაძე** და დები: **იულია რევაზის ასული ჯავროვისა** და **დარია რევაზის ასული კნ. ვაჩნაძე.** (2.429.2)

**ძმ. ზუბალაშვილების სახელობის სახ. სახლი.**

ოთხშაბათს, 9 მაისს სახალხო სახლის ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ ქ-ნ **ო. ლეჟავას** და **ბ. სვიმონიძის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: ახალი ორიგინალური პიესა

## სოფლის გმირები

დრ. 4 მ. ვ. იერეთელისა. გადმოკეთ. ე. ნინოშვილის მოთხრობიდან ,,ჩვენი ქვეყნის რაინდი". მონაწილეობენ: ქ-ნნი ანკარა, ბეჟანოვი, ბადრიძე, გოდერძი, ო. ლეჟავა, კორინთელი, გარეკახელი, ყიფშიძე, ყოჩიშვილი, ფეიქაროვი, ბ-ნნი ანაშვილი, ბიაშვილი, ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, გაგუნაშვილი, მეტრეველი, მეტეხელი, ჩიქოვანი, კულაშვილი, ნარი, ნინიძე, სალაყაია, სვანელი, შანშიაშვილი, ალ. შანშიევი, ფრონისპირელი, ყარსიმაშვილი, ჯაბაური, ჰიაურელი, ჰანკვეტაძე და სხ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში დილის 12-დან 2-ის და 5-ან საღ. 8 საათამდე. ადგილების ფასი 1 მ.—15 კ.-მდე. დასაწყისი საღამოს 8½ საათზე. ადმინისტ. ან. პიაბერაშვილი. რეჟისორი **ალ. წუწუნავა.** (3—1214—3)

**ახალი კლუბი**

ოთხშაბათს, 9 მაისს 1912 წ.

## საბავშვო დილა

განყ. I.—სინემატოგრაფი.

განყ. II.—სიმებიანი ორკესტრი შეასრულებს სხვა და სხვა პიესებს.

" III.—ქართული სახალხო სიმღერები, შესრულ. ხორო მ. კავსაძისა. დასაწყისი დილის 12 საათზე. ბილეთებს ფასი თეატრში 20-დან 10 კაპეიკამდე. (2—1241—2)

**ახალი კლუბი**

ოთხშაბათს, 9 მაისს 1912 წ.

## ჩვეულებრივად სინემატოგრაფი ივანიცკაიასი.

დასაწყისი საღამოს ცხრის ნახევარ საათზე. (1—1241—1)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტელეფონი № 590.**

**სტაცი ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებაც.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

- **ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
- **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.
- **ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
- **მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
- **მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
- **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
- **ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

- **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
- **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
- **ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1.

- **ექიმი-ქალი ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
- **მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.
- **სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.
- **თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.

- **ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
- **მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.
- **ფედოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.

- **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
- **დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.

- **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
- **ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3.

- **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2—2½.

- **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რეევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; **,,606" წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შელავათიანი საფასურით. (წ.—10—332)

## ახალი კლუბი

ქართველ თავად-აზნაურობის თეატრი. ქართული საოპერო ამხანაგობა.

ორშაბათს 14 მაისს 1912 წ.

წარმოდგენილი იქნება **ქართულს ენაზედ.**

## დემონი

ოპერა 3 მოქმედ. და 5 სურათ. ა. რუბენშტეინისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი დავითაშვილისა, ისტამანოვისა, პრჟიინსკაია. ბ-ნნი აგასოვი, ო-დი ბარათოვი, დანაშვილი, დავიდოვი და ცხომელიძე.

**ხორო შესდგება 40 კაცისაგან.**

რეჟისორი ბელსკი. ლოტბარი ნ. გ. ქართველიშვილი. ხორმეისტერი პ. პ. ფალიევი. ადმინისტრატორი ცხომელიძე.

**საყოველთაო წარმოდგენა**

ადგილების ფასი სამი მანეთი და ათი შაურიდან ორ აბაზამდე. ბილეთები იყიდება კასაში 11 სათიდან 2½ ს. დღისით და 6 სათიდამ 8 ს. საღამოს. (3—1224—1)

**ავლაბრის ქართულ სცენის მოყვარეთა სექციასთან უკვე დაარსდა**

## ქართველ მომღერალთა გუნდი

**ხორო**

**ბ-ნ ვ. მათურელის** ლოტბარობით. გუნდის გასამღერებლად, წრის მმართველი გამგეობა, იწვევს მსურველთ მიიღონ მონაწილეობა გუნდში. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ გამგეობის თავმჯდომარეს **ბ. თ. ზ. ნასიძეს** ყოველ დღე 5—7 საათამდე საღამოთი—ავლაბარი, შემახის ქუჩა № 5. ან და ,,ახალი კლუბის" კანტორაში—დილის 9—11 საათამდე. (4—430—1)

**ქუთაისი**

შუაგულ ქუთაისში, **,,მწვანე ბაზარში", ახლად გაიხსნა ლამაზად გაკეთებული და მორთული პირველ-ხარისხოვანი სასტუმრო**

## ,,ბრისტოლი"

მშვენიერი ფოიეთი, სამკითხველოთი და ელექტრონის განათებით. სასტუმროსთან მოწყობილია **საუკეთესო სამზარეულო,** სადაც მზადდება ყოველ დღე **ახალი გემრიელი საჭმელები.**

**ფასები ზომიერია.** ქუთაისი (25.1194.22)

**ქუთაისი** **ქუთაისი**

## ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

**ყურადღება მიაქციონ ახლად გამოსულ პაპიროსებს**

## ,,ირის",

25 ცალი 15 კ. ® 10 ც.—6 კ.

**საუკეთესო და კარგად გაწყობილ ოსმალურ თუთუნისა,** ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

**ყველგან იყიდება.**

თამბაქ. ქარხანა

## ,,ძმ. სეილანოვები"

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42. (100.1036.39)

**ქუთაისში**

## ძმ. ე. და პ. საჰკაშვილები.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ **1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ ჩვენი რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.** და შესამჩნევად გავაფართოვეთ იგი. მაღაზიაში იყიდება ყოველგვარი რკინეულობის მასალა საშენებლად, მაგ. კარ-ფანჯრებისა და ბუხარ-ფეჩების მოწყობილება, ლურსმანი, რკინის ნიჩბები, კირკები და სხ., სახელოსნო ხელსაწყობები, ფანჯრების მინები, მავთული, თუნუქი, ,,ქესტი", სხვა და სხვა ნაირი ემალიანი ჭურჭლეულობა; ყოველგვარი საღებავი წამალი, შპალიერი, ელექტრონის ზარების მოწყობილება, ცემენტი, ალიბასტრი და მრავალი სხვა საქონელი ჩვენი ხელობისა.

**ფასები ზომიერია.** (25 1195.71)

**შეიძლება დაკვეთა:**

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსები და ბელეტრისტული ნაწარმოები,** (აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და ბ. ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.**
**თელავში—თამარა აბაშიძესთან.**
**ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ერევანში—ელენე ვირსალაძესთან.**
**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** (3—1153—3)

**ქართულ საამხანაგო**

## ტფილისის მომღერალ-მგალობელთა გუნდი

(დაარსებული 1910 წ.)

**ახლად შეკერილ საკუთარ ეროვნულ ტანისამოსში (ქულაჯებში) გამოწყობილი.**

**იღებს მონაწილეობას:** კონცერტებში, მუსიკალურ დილა-საღამოებზე, სეირნობებზე, სასიმღერო პიესებში, ეკლესიაში გალობაზე და სხვ. როგორც ტფილისში, ისე პროვინციებში.

**გუნდის მიწვევა-დაკვეთა** ერთი კვირით ადრე, ახალ წევრთა მიღება და ყოველივე პირობების გაგება იკითხეთ გუნდისავე გამგეობის თავმჯდომარე: 1) **ნიკოლოზ ჭრელაშვილთან,** (სადგურის მახლობლად, ანდრეევის ქ. № 87), 2) მის ამხანაგ **ნოე ეგნატეს ძე ლეჟავასთან,** (კრასნოგორსკის ქუჩა № 28), 3) **მიხეკავსაძესთან,** (ავჭალის მოედანი, № 11).

გუნდის გამგეობა სთხოვს ყველას, ვინც კი გუნდს მიიწვევს სადმე, ჯერ ჩვენგან აიღონ პირობა და შემდეგ გამოაცხადონ ხოლმე გუნდის მონაწილეობის მიღება. (3.425.2)

**გუნდის გამგეობა.**

## თელავის სავაჟო პროგიმნაზიაში

ამა წლის ენკენისთვის პირველიდან იხსნება მესამე კლასი, და, თუ საკმაო მსურველნი აღმოჩნდნენ, შეიძლება წრეულვე გაიხსნას მეოთხე კლასიც. მისაღები გამოცდები ყველა კლასებში (როგორც მომავალ IV და III კლ., ისე უკვე არსებულ II, I და მოსამზადებელ კლასის უმფროს და უმცროს განყოფილებაში) დაიწყობა მაისის 21 დ-ან. სამოქალაქო სასწავლებელთა შესახებ დებულების 38 მუხ. ძალით, ის მოწაფენი, რომელთაც სამოქალაქო სასწავლებლის ორი კლასი აქვთ გათავებული, პროგიმნაზიის პირველ კლასში გამოუცდელად მიიღებიან. თხოვნები მიიღება პროგიმნაზიის კანცელიარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმე დღის გარდა, დილის 8 საათიდან შუადღის 2 საათამდე. თხოვნას უნდა ჰქონდეს დართული: დაბადება-მონათვლის მოწმობა, მოწმობა აცრისა და წოდებისა. (1. 1246. 1)

## ტფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი

აუწყებს რწმუნებულთ, რომ 20 მაისს, დილის 11 საათზე, ბანკის სადგომში (ტფილისი, ფრეილინის ქუჩაზე) **ბანკის რწმუნებულთა მორიგი კრება** შესდგება.

**განსახილველია:**

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1911 წელს და ამის თაობაზე გამგეობის მოხსენება.
2) ანგარიში დამფასებელ კომისიის მოხსენებისა.
3) მოხსენება სადაო საქმეებისა.
4) ანგარიში ზედამხედველ კომიტეტისა 1911 წ.
5) ბანკის სამოქმედო ასპარეზის გაფართოება.
6) მოხსენება მოსამსახურეთა საპენსიო კასის ზოგიერთ მუხლის ცვლილებაზე.
7) მოხსენება შტატის ცვლილებასა და შევსებაზე.
8) ბანკის ხარჯთ-აღრიცხვა 1912 წლისა.
9) არჩევნები—ზედამხედველ კომიტეტის 8 წევრისა, გამგეობიდან მორიგეობით გასულ წევრის თ-დ ლ. გ. ჯანდიერის სამაგიეროდ ერთი წევრისა, დამფასებელ კომისიის სამი წევრისა, ნაცვლად მორიგეობით გასულთ თ-დ კ. ზ. მაყაშვილისა, ლ. ა. ფურცელაძისა და ი. ა. მგალობლიშვილისა, ერთი კანდიდატი გამგეობის წევრისა და სამი კანდიდატი დამფასებელ კომისიის წევრებისა. რწმუნებულთა კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს. 1—1247—1)

## დოქტორი მედიცინისა ბერლინის უნივერს. გ. გ. მეგრაბიანცი

## ჭამლობა ჭლექისა

ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ**

შინაგან სნეულებით ავადმყ. მიღება ყოველ-დღე დილ. 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე. კათოლიკეთა ქუჩა, № 10 ტელეფ. 792. (თ.100—1033—21ს)

## საბურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,**

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხკუთხ **საჟენი 80 კ.-დან.**

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს.** დილის 6 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1147 2-6)

## გორის სავაჟო გიმნაზია

**( 1-ლ სექტემბრიდან )**

აცხადებს, რომ მისაღები **გამოცდები** გიმნაზიურ კლასებში პირველ კლასიდან მეშვიდემდე

**დაიწყება 15 მაისიდან,**

**მოსამზადებლებში კი 21 მაისიდან** (3.428.2)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავად მყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაზაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

**ა. ნ. დიასამიძე** ყოვ. დღე, კვირ. გარ და. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

**ბ. ა. ბოლოვი** ყოვ. დღე, კვირ. გარდ. ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11½.

**შ. ა. მიქელაძე** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

**წამლობა ,,606"**

(წლ.—1018—264)

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., № 20. (წ.—1022—51).

**გამოცდილმა**

## მასწავლებელმა

**ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა** მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც სავაჟო, ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატეხნიკო სასწავლებლისთვის.

**აგრეთვე გააგრძელებს მიღებას: სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო და სატეხნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

**იღებს პირობებით.** მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამოს 8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

**Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1. входъ съ подъѣзда, нижній звонокъ. спросить учителя.**

**А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).** (т. 1084.20)

**დოქტორი მედიცინისა**

## ი. ე. თიკანაძე

სამკურნალო აკადემიის სამშობიარო და სადოსტაქრო კლინიკების ორდინატორად ნამყოფი, იღებს ფეხმძიმეთ, დედათაბუნების, სადოსტაქრო და საშარდე ორგანოთა (ვენერიულის გარდა) სნეულებით ავადმყოფ მანდილოსნებს. ყოველ დღე საღამ. 5—7-მდის, კიროჩნის ქ. სახ. № 18, თავ. ვაჩინაძისა, ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების მაღაზიის პირდაპირ.

საშარდე ორგანოთა სნეულებით ავადმყოფნი მხოლოდ ხუთშაბათობით და კვირაობით მიიღებიან. ტელ. № 1182. (თ. 1037 162)

**ექიმი პ. არდაზიანი** შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება, სისხლის ნაკლულება, რევმატიზმი—ქარები), სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9—12. საღამოს 5—7. (25.1045.106)

**ექიმი ე. ი. მინასიანცი** შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ, სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ის სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილ. 9—11 ს.-დე და საღ. 6—7 ს.-დე. ელისაბედის ქ., № 39, ტელეფონი № 1067) (100—1117—153).

**ექიმი ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.; ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ. (25—1178—31)

**ექიმი** ვ. მუსხელიშვილი მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

**ექიმი** კბილისა ნინო რუხილაძე მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 1.

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა პ. ა. ქაჯაია იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—87)

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3, ს. გაბაშვილისა. (უ

**ექიმი** ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 8—9 ს., საღამოთი —7 ს. ზაქის ქ. № 12 ს. (9—80.

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12, სახლი მდივნისა.

**ექიმი** კბილისა არჩილ (გიორგი ბ—ძე) დოლიძე იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.
რკინის გზის სამმართველოსთან, ელისაბედის ქუჩა № 166. (25.1179.30)

# სახელმწიფო სათათბირო

დეპეშები

**რომიანკო თავმჯდომარეობს.**

განსახილველია, სხვათა შორის, საკანონმდებლო მოსაზრება საქალებო გიმნაზიებში სასწავლო საგნების თაობაზე.

განაგრძობენ საზოგადო კამათს საპყრობილეთა უწყების ხარჯთ-აღრიცხვის გამო.

**ანტონოვს** შეაქვს მოსაზრება, ციმბირში ნულარ ვგზავნით დამნაშავეებსა, ახალი ციხეები ავაშენოთ ახალ მოთხოვნილებათა დამაკმაყოფილებელიო.

**კუზნეცოვი** სხვა და სხვა დოკუმენტით ამტკიცებს, ტობოლისა, ორიოლისა, ტფილისისა და კიევის ციხეთა ცუდ მდგომარეობას. ტუსაღებს მიწერ-მოწერის ნებას არ აძლევენ, წიგნები წაურთმევიათ. გაჩერეკა შეუწყნარებელ პირობებით სწარმოებს, ბევრს ტუსაღს ხელსა და ფეხებზე ბორკილი აქვს დადებული და ზოგჯერ სცემენ კიდეც პატიმართაო. ყველა ამის გამო მოლაპარაკე პროტესტს აცხადებს.

**სატუსაღოთა მთავარ გამგეობის უფროსი ხრულევი** სოლტუზის ფორმულას ეთანხმება: ციხეთა შესაკეთებლადა და ზედამხედველთა რიცხვის გამრავლებისათვის თავის დროზე უნდა მოითხოვონ ხოლმე ფულიო.

**ობზიანსკი** ადარებს ფინლიანდიისა და რუსეთის ციხეებს. იქ სატუსაღოთა ხარჯის შესავსებ ციხისავე შემოსავლით ისტუმრებენ, რუსეთში კი ძალიან ცოტაა ეს შემოსავალიო. საზოგადოდ ორი ტიპის სატუსაღო არსებობს რუსეთში! ერთ ციხეებს უჩვენებენ ხოლმე უცხოელებს, დანარჩენები კი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნილაო.

თავმჯდომარემ წაიკითხა მილოცვის გამო გამოგზავნილი მადლობა ხელმწიფე იმპერატორისა.

**სოლტუზი** იცავს თავის ფორმულას და მოითხოვს, ჩქარა განიხილოთ იმის კანონპროექტი, თუ რანაირად დავფაროთ სატუსაღოთა უწყების ვალიო.

**ვოლკოვი** მე-2 წინააღმდეგია ციმბირში გადასახლებისა, ხალხს რუსეთიან გაგზავნილი დამნაშავენიო.

**კუზნეცოვი** კითხულობს რამდენსამე წერილს და ამტკიცებს, ციხეები მართლაც საინკვიზიციო ადგილად გადაქცეულაო.

**ვოლოდიმეროვი** მადლიერია მთავრობისა, კარგად არის დაყენებული ციხეთა საქმეო.

**ნიკოლსკი** ასახელებს რამდენსამე შემაძრწუნებელ ფაქტს ციხის ცხოვრებისას.

კენჭი უყარეს და ხარჯთ-აღრიცხვა მიიღეს სოლტუზის ფორმულითურთ.

**დმიტრუკოვი** კითხულობს სახელმწიფო ცხენთა მოშენების გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვას, რომელიც შეადგენს 2203879 მან. კომისიას საჭიროდ მიუჩნევია მთავარ გამგეობის საკუთრების ფასის გამორკვევა და ცხენების მოშენების საქმის გასაძლიერებლად ღონისძიების გამონახვა.

ხარჯთაღრიცხვა მიიღეს ალექსანდროვის შესწორებით: მთავარმა გამგეობამ მეტი უნდა დახარჯოს და კრედიტიც მოითხოვოს ამ საქმისათვის ერობათა და საერობო დაწესებულებათათვის ფულის მისაცემადაო.

**გუჩკოვი** კითხულობს საარტილერიო მთავარ გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვასა. კომისიას საჭიროდ მიუჩნევია ოდესაში საარტილერიო სასწავლებლის დაარსება. საზოგადოდ გუჩკოვი ძალიან უკმაყოფილოა და ამბობს, ხუთი წლის განმავლობაში ისეთი არეულ-დარეული უწყება არ მინახავს, რანაირიც საარტილერიო არისო. ამიტომ უწყების წარმომადგენლებს კი არ მივმართავ, მთავრობას ვეტყვი: სახელმწიფოს დაცვისათვის დიდი ზრუნვაა საჭირო და ამ საქმის მოსაგვარებლად რისამე ღონისძიების გამონახვა, რადგან უწყება თვით ვერ უძლვება კარგად საქმესაო.

გუჩკოვის სიტყვა ყველას მოეწონა.

**სამხედრო მინისტრის თანაშემწე ვერნანდერი** აღნიშნავს: ჩემს უწყებაში ახალი კაცი ვარ, შეძლება არა მქონია მთლად გამეცნო საჭირო მასალა და ამიტომ ჩემს მაგივრად ხარჯთ-აღრიცხვის შედგენის მონაწილენი, სამხედრო სამინისტროს წევრები მოგცემენ განმარტებასაო (მემარცხენენი? „სამხედრო მინისტრი სადღა ბრძანდება?“ მემარჯვენენი იძახიან: „მოახსენეთ, რა თქვენი საქმე არისთქო“).

**როზანოვი** ამბობს, ბევრჯელ შემოგვიტანია ამ უწყების შეკითხვა, მაგრამ ვერაფერს გამხდარვართ, რადგან მემარჯვენეები ხელს აფარებდნენ და ამიტომ ყველაფრის პასუხისმგებელნი ისინი უნდა იყვნენო.

**სამხედრო მინისტრის კანცელარიის უფროსი** სამინისტროს მოღვაწეობას ახასიათებს. 1908 წელს დავიწყეთ სამინისტროს მთავარ გამგეობის რეორგანიზაცია და დღემდისაც ვერ გაგვითავებიაო. ეხლა ვაპირებთ საარტილერიო უწყების რეფორმას. საზოგადოდ, რაც გუჩკოვმა სთქვა, დიდი ხანია სამინისტროს ფიქრადა ჰქონდა. სამინისტრომ ამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში იმდენი გააკეთა, რამდენიც წინად ვერ გაეკეთებინათ 40 წლის განმავლობაში. სამინისტრო მომავალშიაც ბევრის გაკეთებას აპირებს, და დიდი იმედიც აქვს, რადგან ჯარი ხალხის საყვარელ პირმშოდ გადაქცეულა.

**მარკოვი** მე-2 აღნიშნავს, სამწუხაროდ გუჩკოვის ნათქვამი ყველა მართალიაო. სამინისტროს განზრახვა ჰქონდა რეფორმებისა, მაგრამ საჭირო ფული არა ჰქონია. სამხედრო სამინისტრომ უნდა მიატოვოს არა პირდაპირის გზით ფულის მიღების პოლიტიკა და თუ გაჭირდა, ხაზინამ ფული არ გაიმეტა ამ საქმისათვის, სამხედრო მინისტრმა თვით ხელმწიფე იმპერატორს უნდა მიჰმართოს თხოვნით.

**მილიუკოვი** გაკვირვებულია, რომ სახელმწიფოს დაცვის საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ გუჩკომა თვითონ აღიარა საარტილერიო უწყების ცუდი მდგომარეობა. ძალიან საკვირველია, რადგან გუჩკოვი სათათბიროს ხელმძღვანელ პარტიის წარმომადგენელია და მასვე უნდა მოეთხოვოს პასუხი, რადგანაც კომისიაში ოპოზიციის წარმომადგენლი არ შეუშვიათ. შინაურულად გადასწყვეტდნენ ხოლმე მნიშვნელოვან სახელმწიფო საქმესა.

(შემდეგი იქნება)

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**ელექტრონით განათება.** პარიზიდან ტფილისს ჩამოვიდა მსხვილ კაპიტალისტების წარმომადგენელი ინჟენერი ტარისი და ქალაქის მოურავი ა. ი. ხატისოვი ინახულა. ინჟენერი კისრულობს ტფილისში საელექტრონო სადგურის მოწყობას და ჰპირდება ქალაქს, ძალიან იაფად აძლიოს ელექტრონის ენერგია იმ პირობით კი, ქალაქმა წინდაწინვე გამოარკვიოს მინიმუმი თავისთვის საჭირო ენერგიისა.

**კამერ-იუნკრობა** ებოძათ თავად-აზნაურთა წინამძღოლებს: ტფილისის მაზრისას—თავ. პ. ი. თუმანიშვილს და გორის მაზრისას—თავ. ნ. ა. თუმანიშვილს.

**წვრილი კრედიტის ამხანაგობათა** რიცხვი დღითი-დღე იზრდება. გორის მაზრაში ამ ჟამად 18 საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობაა. აღძრულია შუამდგომლობა, რომ საკრედიტო ამხანაგობა გახსნილ იქმნას სოფლებს დირბსა და ფხვენისში. ძირითად თანხად თვითეული ამხანაგობა ორას თუმანს თხოულობს.

**სავაჭრო ბანკი.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ბირჟის დარბაზში კრება ექმნებათ იმ პირთ, რომელთაც განზრახვა აქვთ, ტფილისში სავაჭრო ბანკი დაარსონ. განხილულ იქნება საბოლოოდ ბანკის წესდება. წინად განზრახული იყო ბანკის ძირითად თანხად ორი მილიონი მანეთი შეეგროვებინათ. ახლა კი ჰფიქრობენ, რომ სამი მილიონი შეაგროვონ, რადგანაც აქციებზე ხელის მოწერის მსურველი ბევრი აღმოჩნდა.

კვირას, 13 მაისს, ქართულ თეატრში **გრიგოლ რობაქიძე** წაიკითხავს რუსულად ლექციას: „ხელოვნება და სინამდვილე“.

რედაქციამ მიიღო ბაქოს წ.-კ. გ. საზ. განყოფილებისაგან შემდეგი დეპეშა: მეტად დაგვაღონა სახელოვან პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის **ი. გოგებაშვილის ავადმყოფობამ.** ვუსურვებთ მალე მორჩენას.

ქალაქის გამგეობას აზრად აქვს **სამშობიარო თავშესაფარისთვის** მუდმივი ექიმი დანიშნოს.

**სეირნობა.** მოვაგონებთ მკითხველთ, რომ დღეს მუშტაიდში დიდი სახალხო უნივერსიტეტის საზოგადოების სასარგებლოდ სეირნობაა დანიშნული.

ქალაქის საქიმიო ლაბარატორიამ გამოიკვლია „ზარია“-ს ქარხნიდან წაღებული ლიმონადის ნიმუშები. ლიმონადი ჭუჭყიანი და დასალევად უვარგისი აღმოჩნდა.

**დაკარგული მოსწავლენი.** უკვალოდ დაიკარგნენ ვაჟთა მეორე გიმნაზიის მოსწავლენი გოზალოვი და გოგლაძე.

**სტიპენდიები.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, საბალოსნო სასწავლებელში ორი სტიპენდია დაარსოს ლ. ტოლსტოის სახელობაზე. გამგეობას ამ საგნის შესახებ საბჭოში საგანგებო მოხსენება შეაქვს.

**მიწის ყიდვა.** ქალაქის საბჭომ დაადგინა, ეკატერინე სოლომონის ასულ როტინოვისაგან 6,500 მანეთად შეიძინოს დიდის მთავრის ქუჩაზე მდებარე მიწა (66 საჟენი) თავის შენობებით.

**ბაქოს ეპისკოპოსი პიმენი** ეგზარქოსის დავალებით სიღნაღისკენ გაემგზავრა ბოდბის მონასტერთან არსებულ საქალებო სასწავლებელში ეგზამენებზე დასასწრებლად.

7 მაისს ტფილისში 12 ეკსპორტი შეიპყრეს.

## საზოგადოებანი და კრებები

**ჟურნალისტთა საზოგადოების** გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე დაადგინა, მოიწვიოს 22 მაისს საზოგადოების წევრთა საერთო კრება ანგარიშის განსახილველად და თანამდებობის პირთა ასარჩევად.

**სახლის პატრონთა და სახლის დამქირავებელთა საზოგადოების** წესდება გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა. საზოგადოების დამაარსებელთა და მსურველთა კრება ამ დღეებში მოხდება საზოგადოების გამგეობის ასარჩევად.

**საბჭოს კომისიებში.** დღეს კრება ექმნება ქალაქის საბჭოს სატეხნიკო კომისიას, რომელიც განიხილავს მდინარე არაგვზე საელექტრონო სადგურის აგების ხელშეკრულობის პროექტს. ხელშეკრულობა დადებულ იქნება ქირის ფირმასთან.

11 მაისს კრება ექნება სახალხო სახლის გამგე კომისიას, რომელიც განიხილავს სახალხო სახლის 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვას.

**ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება 7 მაისს მოხდა ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით. საბჭომ დაადგინა: 1) სარევიზიო კომისიის მდივანს ჯამაგირად დაენიშნოს წელიწადში 1200 მან. მხოლოდ იმ პირობით, რომ მდივნად მოწვეულ იქმნას არა ხმოსანი, არამედ გარეშე პირი, 2) მიეცეს სარევიზიო კომისიას იმის უფლება, რომ საგანგებო მინდობილობანი ჩააბაროს გამგეობის საკანტროლო განყოფილების მოსამსახურეებს და 3) 1200 მან. 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში იქმნეს შეტანილი.

## სასამართლო

ტფ. ოლქის სასამართლოს სესიამ გორში გაარჩია სოფ. ვარიანის მცხოვრებ ზაქარია სირბილაძის (16 წლისა) საქმე. ბრალდებოდა ყრმუნჯ ქალის ნინო ბერძენიშვილის გაუპატიურება. სასამართლომ სირბილაძეს სამის წლის ციხე მიუსაჯა.

**ტფ. ოლქის სასამართლოს სესია** გორიდან ტფილისს დაბრუნდა.

## რკინის გზები.

6 მაისს, სადგურ მოლითის ახლოს, სოფ. ვახანში, ლეღვნის საზოგადოების მცხოვრებმა ალექსი პავლეს ძე ცუცქირიძემ მოინდომა შეხტომა სატვირთო მატარებელზე № 4, მაგრამ მას ხელი დაუსხლტა, მატარებელმა ქვეშ შეითრია და გასრისა. ცუცქირიძე იმ წამსვე გარდაიცვალა.

## ქუთაისი

ქუთაისის გუბერნიის თ-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზე დამტკიცებული **თ-დი ფარსადან მიქელაძე**, ფიცის მიღების შემდეგ, თანამდებობის ასრულებას შეუდგა.

ქუთაისის **თ-აზნაურთა წინამძღოლი** თ-დი მიქელაძე მოსკოვში წასვლას ემზადება დღესასწაულობაზე დასასწრებლად. დეპუტატთა საკრებულომ ამ მოგზაურობის ხარჯის დასაფარავად გადასდო 600 მანეთი.

ქუთაისის თავად-აზნაურობას **ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობა აღუძრავს,** თავად-აზნაურთა წინამძღოლს იგივე უფლება მიეცეს საადგილ-მამულო ბანკის გამგეობაში, როგორიც ფინანსთა მინისტრის რწმუნებულს აქვს.

**ოლქის სასამართლომ** გაარჩია სავლეხო საკრებულოს წევრის ბიბიკოვის საჩივარი დიფამაციის წესით თ-დ დავით ნიჟარაძის წინააღმდეგ, რომელსაც ცილის წამებას აბრალებდა. სასამართლომ **თ-დ ნიჟარაძეს მიუსაჯა** 6 თვის ციხე—ე. ი. უდიდესი სასჯელი, რომელიც-კი შეიძლებოდა გამოეტანა სამსჯავროს. საქმე თ-დ ნიჟარაძის დაუსწრებლად გაირჩა.

**სამოსწავლო ოლქის ინსპექტორი** 27 აპრილის აქეთ ქუთაისშია იმყოფება. მან ტფილისიდან თან მოიტანა კლასიკური გიმნაზიისა და რეალური სასწავლებლისათვის თემები, ხოლო თითონ დაესწრო კლასიკურ გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლეთა გამოცდას ყველა საგნებში. ლაპატინსკის მოსვლას გიმნაზიის გამოცდებზე დასასწრებლად უკავშირებენ იმას, რომ მერვე კლასში სიტყვიერების მასწავლებელი ცნობილი იურკევსკია, რომელსაც შარშან მოსწავლეებმა მექრთამეობა დასწამეს და ამის შესახებ გამოძიებაც სწარმოებდა.

წერის გამოცდის გათავების შემდეგ ბ-ნი ლოპატინსკი ქუთაისის გუბერნიის საშუალო სასწავლებლის დასათვალიერებლად წავიდა, ხოლო როცა ზეპირი გამოცდები დაიწყება, როგორც ამბობენ, კვლავ ქუთაისს დაბრუნდება.

ეს ორი დღეა ქუთაისში ნამდვილი ზამთრის დღეებია. წარსულ ღამის წვიმებსა და სიცივეებს, როგორც სოფლიდან მოსულნი ამბობენ, დიდი ზარალი მიუყენებია მეურნეობისათვის. განსაკუთრებით დაზარალებულა ვაზი და ხეხილი. არა ნაკლები ზარალი თურმე მეაბრეშუმეებს მიაყენა.

გაზეთ **„კოლხიდის“ რედაქტორს** არ. ქუმბაძეს, როგორც ამბობენ, გუბერნატორის განკარგულებით შეუმცირებენ სასჯელს და ამ დღეებში განთავისუფლებენ. „კოლხიდის“ რედაქციასთან დაახლოვებულნი ამბობენ, რომ ბ-ნ ქუმბაძის განთავისუფლებასთან ერთად განახლდება გაზეთის გამოცემაცა.

**შეცდომის გასწორება:**

გუშინდელს ნომერში დაბეჭდილია წერილი „თათბირი ინფუზორიის მიწის შესახებ“, სადაც შეცდომითაა დაბეჭდილი გვარი **პ. თეზაშვილი.** უნდა იყოს **პ. იზაშვილი.**

# იაკობ გოგებაშვილის ავადმყოფობა

7 მაისის საღამოს 10 საათზე სიცხე ჰქონდა 37 გრადუსი, 8 მაისს დილის 10 საათზე 36, 8. მაჯის ცემა 7 მაისს წუთში 82, 8 მაისს დილით —72. ნაწლევების ტკივილები მიუყუჩდა.

მალა ნელნელა მოსდის. ექიმების რჩევით აჭმევენ ბულიონსა და მაწონს.

დღეს, 9 მაისს დანიშნულია მესამე თათბირი ექიმებისა, რომელიც საბოლოოდ გამოარკვევს თუ რა სნეულებით არის ავად ბ-ნი გოგებაშვილი.

# ჟურნალისტის დღიური.

60.

**ქართული ენა გორის პროგიმნაზიაში.**

ისევ პროგიმნაზიაო, იტყვის გაკვირვებული მკითხველი. მაგრამ რას იზამ, როდესაც სწორედ ამ პროგიმნაზიებში იჩენს ხოლმე თავსა ისეთი ფაქტები, რომლებიც არ შეგვიძლიან უყურადღებოდ დავსტოვოთ. ყოველთვის, როდესაც კი თავად-აზნაურთა წლიურ კრებებზე ლაპარაკი ჩამოვარდება ხოლმე პროგიმნაზიებზე, სამაზრო მარშლები სათითაოდ წამოდგებიან და პათეტიურად უმტკიცებენ კრებას, რასა ბრძანებთ, ბატონებო, ჩვენა ვართ პროგიმნაზიის პატრონები, ქართული ენა მშვენივრად არის დაყენებული, არავითარი საფრთხე არ მოელისო. ბევრი უნდობლობას უცხადებს ასეთს განმარტებას, არა სჯერა, რომ მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლებს შეუძლიანთ ქართულ ენის დაცვა და ამიტომ სუბსიდიის მოსპობას მოითხოვს; მაგრამ კრების უმრავლესობა ასეთს ორატორებს ტაშის კვრით ჰკვდება და სუბსიდიებს კი მაინც აძლევს. წლითი-წლობით მეორდება ასეთი სურათი თავად-აზნაურთა საზოგადო კრებებზე.

მიუხედავად ამისა, პროვინციის პროგიმნაზიებში ერთი ერთმანეთზე შეუწყნარებელი ამბები ხდება. თელავის პროგიმნაზიაზე უკვე ვწერდით ამ რამდენისამე დღის წინად. ეს-ღა გვიმდა ცოტა რამ გორის პროგიმნაზიაზე მოგახსენოთ. გორიდან გვწერენ: „ერთს მოწაფეს გამორიცხვას უპირებდნენ. ქართული ენის მასწავლებელმა თავისი აზრი გამოსთქვა. მაშინ წამოდგა ისტორიის მასწავლებელი სნიტკო და ჰკითხა ინსპექტორს ზაალიშვილს, — შევატყობინეთ, ყველა მასწავლებელს აქვს გადამწყვეტი ხმა თუ არაო. რამდენიმე დღის შემდეგ ზაალიშვილმა ოფიციალურად გამოუცხადა ქართულ ენის მასწავლებელს, საბჭოს სხდომებზე ნუღარ მოხვალ, ხმა არა გაქვსო“. ინსპექტორი ზაალიშვილი უცხადებს ამას ქართულ ენის მასწავლებელს მას შემდეგ, როდესაც 3—4 წლის განმავლობაში იგი საბჭოს სხდომებს ესწრებოდა.

ამ ჟამად არ გამოვეკიდებით იმის გამორკვევას, მართლა აქვს თუ არა ამის უფლება ქართულ ენის მასწავლებელს. ან რამდენად კანონიერად მოიქცა ინსპექტორი ზაალიშვილი, როდესაც საბჭოს კრებებზე მისვლა აუკრძალა ქართულ ენის მასწავლებელს. ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ორს გარემოებაზე. ქართული ენის მასწავლებელი სამი-ოთხი წლის განმავლობაში ესწრობოდა, კანონიერად თუ უკანონოდ, პედაგოგთა საბჭოს კრებებს. მაგრამ საკმარისი გახდა მასწავლებელს სნიტკოს ამ გარემოებისთვის ყურადღება მიექცია, რომ ინსპექტორ ზაალიშვილს სნიტკოსთვის შეეწირა ზვარაკად ქართული ენის ინტერესები. სამი ოთხი წლის განმავლობაში ინსპექტორი ზაალიშვილი ნებას აძლევდა ქართულ ენის მასწავლებელს საბჭოს სხდომებს დასწრებოდა, და სნიტკოს პირველ განცხადებისთანავე აუკრძალა დასწრება. არა გვგონია ეს ფაქტი იმას ამტკიცებდეს, რომ ბ-ნი ზაალიშვილი დიდი ცამცველი ბრძანდება ქართულ ენისა.

როდის შეიძლება ქართულ ენის კარგად დაყენება ისეთს სასწავლებელში, სადაც მასწავლებელს საბჭოს კრებებზე დასწრების უფლებასაც კი არ ანიჭებენ? ამის პასუხს მხოლოდ თ-დი თუმანიშვილი თუ მოგვცემს, ის თუმანიშვილი, რომელიც თავად-აზნაურთა კრებებზე ქართულ ენის ნაფიც ვექილად გამოზრძანდება ხოლმე. საინტერესოა ვიცოდეთ, რა ზომები მიიღო თ-დმა თუმანიშვილმა, რომ აბუჩად აგდებული მასწავლებელი ქართულ ენისა მიეყვანა და საბჭოს სხდომაზე დაესვა?

ღრმად დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდე, მკითხველო, რომ გორის მარშალი თ-დი თუმანიშვილი ამას ვერც იზამდა და არც იზამდა. ინსპექტორი ზაალიშვილი, როგორც ეტყობა, კარგი ამსრულებელია კანონისა. ალბად, რახან ქართულ ენის მასწავლებელს საბჭოს კრებებზე სიარული აუკრძალა, კიდეც ჰქონდა ამის უფლება; ალბად კანონი ამას მოითხოვდა. მაგრამ, სამაგიეროდ, იბადება მეორე საკითხი, რომელსაც თავად-აზნაურთა კრებამ ყურადღება უნდა მიაქციოს. რა ფასი და ღირებულება უნდა ჰქონდეს ქართველ საზოგადოებისთვის ისეთ სასწავლებელს, რომელშიაც ქართულ ენის მასწავლებელს საბჭოს სხდომებზედაც არ უშვებენ? ან რად უნდა აძლიოს სუბსიდია და ფულის სხვა შემწეობა ქართველმა თავად-აზნაურობამ ისეთს სასწავლებელს, სადაც ქართულ ენის მასწავლებელს უსპობენ ერთადერთს საშუალებას ქართულ ენის ინტერესების დაცვისას—საბჭოს სხდომებზე დასწრებას და მონაწილეობას?

ქართველი თავად-აზნაურობა თუ ამ გარემოებას ჯეროვან ანგარიშს გაუწევს, მხოლოდ ერთს პასუხს მისცემს თავის-თავს: ასეთს სასწავლებელს არავითარი ფასი არა აქვს, და ამიტომ ქართველ თავად-აზნაურობის სუბსიდია მას უნდა მოესპოს.

**შინაური.**

# მოწოდება

ტფილისში დაარსდა საზოგადოება, რომელსაც მიზნად აქვს ქართულ ვაჟთა გიმნაზიისა და ქალთა სკოლის ღარიბ მოწაფეებს უფასო სადილები მიაწოდოს. ჩვენი სკოლების მოზარდი თაობა ისე ცუდად იკვებება, რომ ბევრი მოწაფე ხშირად მშიერი არის ხოლმე. საზრდოს ნაკლებობა კი ნორჩს სხეულსაც აუსუსტებს და გონებასაც უხლუნგებს ბავშვსა. სწორედ ამგვარის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად დაარსდა ზემოხსენებული საზოგადოება.

საზოგადოების გამგეობა მიმართავს ქართველ საზოგადოების შეძლებულ ნაწილს, მათ შორის სოვდაგრებს, ვაჭრებს და მრეწველებსაც და სთხოვს ხელი მოუმართონ მას ამ ყოვლად სასარგებლო საქმის მოწყობაში. გამგეობა იმედს არა ჰკარგავს რომ საზოგადოებაში ბევრი აღმოჩნდებიან, რომელნიც, ზოგი ფულით, ზოგი სანოვაგით და სურსათით, ზოგიც სამზარეულოს და სასადილოს ჭურჭლით დაეხმარებიან სასადილოს (მიიღება: ქვაბები, დანა-ჩანგალი და კოვზები, მაგიდის კლიონკა, ტილოები და სხვა).

ფული უნდა გამოიგზავნოს **ქ. ტფილისის „უფასო სასადილოს“ საზოგადოების თავმჯდომარის კნ. მ. ვ. ჯამბაკურ-ორბელიანის სახელზე, ნიკოლოზის ქ. № 66.**

ყოველივე სხვა შემოწირულება მიიღება ქართულ გიმნაზიის სადგომში ყოველ დღე უქმე დღეებს გარდა, ნაშუადღევის 3 საათამდის.

# საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.

(23—30 აპრილის კრება).

როგორც წინდაწინ გაზეთებში იყო გამოცხადებული, წარსული თვის ორ უკანასკნელ ორშაბათს (23 და 30 აპრილს), თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოში, მოხდა ჩვეულებრივი კრება „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებისა“ ე. თაყაიშვილის თავმჯდომარეობით.

კრების საგანს შეადგენდა ბ-ნის **სევასტი გაჩეჩილაძის** მოხსენება: **„ჩვენი ერის სოციალური ისტორია და ფსიხოლოგია ზეპირ-სიტყვიერების მიხედვით“.**

მოხსენება ფრიად საინტერესო აღმოჩნდა და დამსწრეთა შორის ცხოველი კამათი და აზრთა გაზიარება გამოიწვია.

ბ-ნი რეფერენტი უკვე ცნობილია, როგორც შემკრები ხალხური სიტყვიერებისა[1]) და, რამოდენათმე, მათი შემმუშავებელიც ხელოვნურად[2]). ამიტომ, ვინც რეფერენტს იცნობდა, ცნობისმოყვარეობით გამსჭვალული მოისწრაფოდა საისტორიო საზოგადოების კრებაზე; და რეფერენტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ დამსწრეთ იმედი არ გასცრუებიათ.

რეფერენტმა პირველად განმარტა, თუ როგორ ესმის მას ტერმინი: „ჩვენი ერი“ „ერიო,-სთქვა მან-ჩემი შეხედულებით ის ნაწილია მთელი ქართველობისა, რომელსაც აქვს დანიშნულება თვისი ტერიტორიის შენარჩუნებისა და რომელშიაც ტრიალებს ძვირფასი სადა ხალხური ენა და ზეპირსიტყვაობის თვით-არსი სულიო“. ამ სიტყვის ნაცვლად რეფერენტი თავის მოხსენებაში ხშირად ხმარობდა სიტყვებს: „ხალხი“ და „მასსა“.

1) იხ. ხალხური ზღაპრები და ლექსები, შეკრებილნი ს. გაჩეჩილაძის მიერ სოფ. წევაში („ძველი საქართველო“ ტ. ?, განყოფ. IV, გვ. 1—104).

2) ასეთია, მაგალ., მისი „ამირანი“ და „როსტომ რაჭის ერისთავი“, რომელნიც ჟაკის „კრებულში“ და „თეამბეში“ დაიბეჭდა.

მოკლე შესავლის შემდეგ, რომელშიაც რეფერენტი შეეხო ზოგიერთ ევროპიელ მეცნიერთა ღვაწლს სოციალური მეცნიერების წინაშე, მომხსენებელი პირდაპირ გადავიდა თავისი რეფერატის საგანზე; გაარჩია მრავალი ზღაპარი და ზეპირ-თქმულება ხალხისა **ბუნებაზე, ადამიანის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, სარწმუნოებაზე და ზნეობაზე.** უმთავრესი დასკვნანი მოხსენებისა ასეთი იყო:

ა) **ბუნება** ჩვენი ხალხის შეხედულობით შობილია ქალისაგან, „მზის დედისაგან"; დედა-მიწა კალოსავით მრგვალია; ცა ლურჯი ქვისაა და დედა-მიწაზე ისრის სროლის მანძილზეა მხოლოდ დაშორებული, ზღუდეები ცას მიწის გარშემო ზღვაში აქვს ჩაბჯენილი და სხვ.

ბ) პირველი საზოგადოებრივი ფორმა, რომელიც ჩვენს ერში გასახულა, იყო **ოჯახი** ჯერ მატრიარხული და მერე პატრიარხული; ოჯახს მოჰყვა მეორე ფორმა საზოგადოებრივი ცხოვრებისა—„**ბუნე**" (ოჯახისა და თემის საშუალო კრებული), ბუნეს თემი ამას—„მეფობა" და სხვ.

გ) ძველი ქართველის **სარწმუნოება** ბუნების ძალთა-თაყვანის ცემა იყო: მზე მას მიაჩნდა ქალ-ღმერთად, მთვარე—მამაკაცად, ღრუბლები—დევებად, ტყე დასახლებული ჰყავდა ქაჯებით და სხვ.; თაყვანსა სცემდა, აგრეთვე, ტყესა და საზოგადოდ, დიდ ხეებს და სხვ.; ხოლო საიქიო წარმოდგენილი ჰქონდა როგორც გაგრძელება სააქაო ცხოვრებისა.

დ) **ზნეობით** ქართველი ხალხი პრიმიტიულ საზოგადოებრივ ცხოვრების დროს უფრო მაღლა იდგა, ვინემ შემდეგში: „ბუნურს" ცხოვრებაში უფრო ძლიერი იყო **ალტრუიზმი,** მოძმისა და მოყვასისათვის თავის გაწირვა. ძველს ქართველს ახასიათებდა, აგრეთვე, **მისწრაფება თავისუფლებისადმი,** რომელიც მას სულს ჩაუდგამდა და უკვდავად ჰხდიდა.

ე) დასასრულ, რეფერენტმა გამოსთქვა აზრი, რომ ჩვენი ქვეყანა, ამიერ კავკასია, არის პირველი ბუდე თეთრ-კანიანის რასისა (ლეტურანო), ხოლო ჩვენი ერი არის წარმომშობი როგორც პირვანდელი სოციალური ფორმებისა (ოჯახი, ბუნე და სხვ.), ისე პირველყოფილ სარწმუნოებათა, ზნეობისა და მრავალგვარ თქმულებათა, რომელნიც შემდეგ აქედან გაუტანიათ თეთრკანიან ხალხებს, როგორც მთელ ევროპასა და აზიაში გავრცელებულან.

რეფერანტს ავტორმა დაურთო საკმაოდ ვრცელი რეზიუმე და განმარტება, რომელიც დაათავა შემდეგის შემართვითი ჩვენი პოეტებისა ბატონებო და მეცნიერებისადმი: „დაუწაფეთ ბატონებო, ქართული ფოლკლორის დიად სულს და მის ძვირფას სამკაულს—უკვდავის ხალხის უკვდავ ენას,—და დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ იგი კაცობრიობას ბევრს ახალს რასმე ამხელს!..."

რეფერატის შემდეგ გაიმართა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გრ. ყიფშიძემ, მოსე ჯანაშვილმა, ს. კაკაბაძემ, ი. აბულაძემ, ე. თაყაიშვილმა, ს. გორგაძემ და სხვ.; ყველამ საინტერესოდ მიიჩნია რეფერენტის მოხსენება, ძვირფას მასალად ჩასთვალა ის ზეპირ-სიტყვიერი მასალა, რომელიც რეფერენტმა წარმოადგინა,—მაგრამ ვერც ერთმა შესაძლოდ ვერა სცნო რეფერენტის იმ მთავარ დასკვნას დასთანხმებოდა, ვითომც კავკასია იყოს თეთრკანიანთა პირვანდელი სამშობლო და ქართველი ხალხი—დედახალხი, წარმომშობი პირვანდელის საზოგადოებრივობისა, სარწმუნოებისა და იმ თქმულებათა, რომელნიც თეთრკანიან ხალხთა შორის ტრიალებენ. მოკამათეთა აზრით, ამგვარის ფართო და გაბედული დასკვნის დასამტკიცებლად ფოლკლორი არა კმარა და არც მთლად საიმედო მასალას წარმოადგენს...

კრების დახურვის წინ თავმჯდომარემ რეფერენტს მადლობა გადაუხადა შრომისათვის, ხოლო დამსწრე საზოგადოებამ ტაშით დააჯილდოვა იგი. **დამსწრე.**

## გაზ. „ქართლი"-ს დამაარსებელთა კრება ქ. გორში.

(დასასრული *)

**ალ. გრძელიშვილი.** არა, ბ-ნო, მემანქანე სხვაა, „ნაკლადჩიკი" სხვა. თვითეულს თავისი საქმე აქვს. ერთ კაცს ორ თანამდებობას ვერ დააკისრებთ. ვერც თუ რედაქტორი გასწევს კორექტორობას როგორც აქ ეხლა ჰრძანეს. მოქანცული რედაქტ. კირკიტს ვერ დაუწყებს კორექტურას. საჭიროა მოიწვიოთ კორექტორად განსაკუთრებული პირი, კარგი მცოდნე ქართულ რუსული მართლწერისა, მით უმეტეს სტამბაში სხვა სამუშაოც გვექნებათ.

შემდეგ იანგარიშეს ბინის ქირა და ს. ვ. ვარაუდით ხარჯი შესდგა წელიწადში სულ 300 თუმნამდე.

**დ. მაჭავარ.** ზერელე სჯა-ბაას რომ არ დავემყაროთ, საჭიროა ხარჯთ-აღრიცხვა (სმეტა) შევადგინოთ, რომ დაბეჯითებით ვიცოდეთ რა გვიჯდება ესა და ეს საქმე. ამისათვის კი უმჯობესია კომისია ავირჩიოთ.

**თავმჯდომ.** სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა ნუ შეგვაშინებს. გაზეთის ხარჯის ნაწილს შემოსავალი დაჰფარავს, ხელის მოწერისა და განცხადებებიდან შემოვა ასი თუმანი მაინც. გაზეთიდან კი შემოსავალი ექნება სტამბასაც.

**ა. კასრაძე.** გაზეთი და სტამბა ერთი და იგივე არ არის, არ ვიცი რად ავურიოთ ერთმანეთში. ამასთან იმედს ამყარებენ გაზეთზე. თუ გაზეთი კარგად დავაყენეთ, სტამბის საქმეც კარგად წავა. ბ-ბო, სტამბისათვის კი არ არის საჭირო გაზეთი, არამედ გაზეთისათვის არის საჭირო სტამბა, გაზეთზე იმედის დამყარება შეუძლებელია. არავინ არის თავდები იმისა, რომ მთავრობა ერთი კვირის შემდეგ არ დაჰკეტავს გაზეთს. მაშინ? რა ეშველება სტამბას, რომლის ერთ შემოსავლიან წყაროდ აღიარებულ იყოს ეს გაზეთი?!

**თავმჯდომ.** აქაც კითხულობს რუსულად „ქართველ გამომც. ამხან". წესდებას. ჩამოვარდა მდუმარება, თითქოს მშვიდობის ანგელოზმა ჩამოიარაო. და აი აქ მოხდა „უცნაური" ამბავი. უცებ „ტაროსი შეიცვალა". თავმჯდომარის რუსულად ეშხიანმა ლაპარაკმა ჰია გაუღვიძა სხვებსაც, დაიწყო „მამულიშვილობაც", ისიც, რომ თავიდან შეთანხმდნენ ქართულად ელაპარაკნათ და გაიმართა კამათი რუსულად. ბოლომდე რუსული ლაპარაკი თითქმის აღარ შეწყვეტილა.

**დ. მაჭავარ.** ავირჩიოთ კომისია და იმან გადასინჯოს წესდება და შესაფერი შესწორებანიც შეიტანოს, ამასთანავე უნდა შეადგინოს სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა. თვითეული უნდა ნათლადა ჰხედავდეს როგორაა დაყენებული საქმე. ეს საქმე საქველმოქმედო საქმე არ არის, ეს კომერციული საქმეა და კომერციულადაც უნდა იყვეს დაყენებული. ვაჭართან რომ მიხვიდეთ და უთხრათ—საქველმოქმედო მიზნით გამოიღე ამდენი და ამდენი, გამოიღებს, მაგრამ თუ ესეც თანხა მოსთხოვეთ რა მეპაის შესაძენად, უპირველესად იკითხავს რა მიმართულება მიეცემა ჩემს ფულს, ვის ხელში იქნებაო. საჭიროა აუცილებლად ამოვირჩიოთ კომისია ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენად—არა იმიტომ, რომ ამ ხარჯთ-აღრიცხვის მიხედვით ვიმოქმედოთ, არამედ იმიტომ, რომ თვითეულმა წევრმა იცოდეს, რაში დაიხარჯება იმისი ფული.

**ნ. თუმანიშვილი და ექ. კობერიძე** კამათის შემდეგ ეთანხმებიან ბ. მაჭავარიანის აზრს მხოლოდ იმ პირობით, რომ ამორჩეულ კომისიას დაევალოს ახალ წევრების გამონახვაც. კომისიაში ერთხმად ამოირჩიეს შვიდი კაცი: პროტ. ი. კვალიაშვილი, ი. ეკალაძე, ზ. ქიტიაშვილი, ა. კასრაძე, მ. რაზიკაშვილი, მელიქიშვილი და ალ. გძელიშვილი. დანარჩენ საკითხთა განხილვა კრებამ ვერ მოასწრო და ღამის ათს საათზე დაიშალა. კომისიის კრება 5 მაისს იყო დანიშნული. საჭიროა კომისია ძალიან ფრთხილად მოეპყრას საქმეს, ასწონ-დასწონოს, და თვისი მოხსენება ისე წარუდგინოს კრებას, წინააღმდეგ შემთხვევაში შემდეგ ნეკზე კბენანი და სინანული გვიან იქმნება. **სან-განიძე.**

*) იხილე 1912 წლ. „სახ. გაზ."-ს № 533.

## წერილი თელავიდან

მესამე კვირაა გამუდმებით ავდარია, თოვლი მთიდამ ბარს მოუახლოვდა, აცივდა, რეამიური სითბოს მხოლოდ 5—6° გვაჩვენებს, ყველამ ზამთრის ტანისამოსი ჩაიცვა და სახლებსაც თბობა დაუწყეს.

პირველი მაისიც დადგა. სხვა უამისოთ დილა-ადრიან ტყეში იფინებოდნენ, ეხლა-კი კარებ დახურულში სხედან, თუმცა ამ სახელ-წოდებას და დღეობას ვერც სიცივე უშლის ხელს და ვერც ავდარი.

## ვარდი და ზამბახი

წალკოტში ჰყვაოდნენ: წითელი, ლამაზი
ვარდი და ზამბახი მორცხვი და თეთრ-ნაზი.
ვარდი და ზამბახი ერთს ბულბულს ეტრფოდნენ
და იქვის ისრებსა ერთმანეთს ესროდნენ!..

—:—

გაფრინდა სხვაგანა, გაფრინდა ბულბული...
სხვა წალკოტს, სხვა ყვავილს შესწირა მან გული!..
ვარდი და ზამბახი ნაღვლობენ, სჭკნებიან...
ერთმანერთს ეკვრიან... ერთადა ჰკვდებიან!..

**კ. მაყაშვილი.**

წლევანდელი თამარობა ე. ი. პირველ მაისი უნდა შესანიშნავი ყოფილიყო, თუ გავიხსენებდით შვიდასის წლის ქალის თამრის მოგონებას, მაგრამ ამის მაგიერ ერთმანეთთან დარბოდნენ ჩვენი ბანოვანნი (რასაკვირველია მარტო თელავში არა), რომელთაც კაცებიც არ ჩამოუვარდებოდნენ.

როგორც გადმოგვცეს, მაისის შუა რიცხვებში თელავში გაიმართება სალიტერატურო განსამართლება, რომელშიაც უმთავრეს მონაწილეობას (ბრალმდებელ-დამცველი) მიიღებენ თბილისელი ვექილები. ასეთი გასამართლება პირველად იმართება თელავში და საზოგადოებას დააინტერესებს იგი.

22—23 აპრილს ვაჟთა პროგიმნაზიაში და წმ. ნინოს ქალთა და სამოქალაქო ვაჟთა სასწავლებლებში გაიმართა მოწაფეთა ნამუშევარის გამოფენა. გამოფენილი იყო მხატვრული ნაწარმოები, ხელსაქმე და სხვა. ბევრი სურათი იქცევდა ყურადღებას, პროგიმნაზიის მოსწავლეთ თიხისაგან მშვენივრად გაეკეთებინათ სხვა და სხვა საგნები. ძერწვასა და ხატვას წლევანდელ სამოსწავლო წლიდამ ასწავლის ბ-ნი ტერ-ვართაზარიანცი. სამოქალაქო სასწავლებელში საყურადღებო სანახავი იყო საფიზიკო კაბინეტის მოწყობილება ხისაგან გაკეთებული მოსწავლეთა მიერ ფიზიკის მასწავლებელ ბ-ნ გოროდეზიანის ხელმძღანელობით. ამას გარდა მოწყობილი იყო სამეურნეო იარაღის გამოფენა და მათ შორის ჩვენებური წისქვილის მოდელი, რომელიც მოქმედებდა, როგორც ნამდვილი. წმ. ნინოს სასწავლებელში გამოფენა ვერ დავათვალიერეთ, და ამისთვის ვერაფერს ვიტყვით.

22 აპრილს წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის ულარიბეს მოსწავლეთა სასარგებლოდ გამართულ საღამოს საზოგადოება ბევრი დაესწრო. ითამაშეს ქართულად „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი" და რუსულად „Вoдворъ во флигеръ". ეს წარმოდგენა კიდევ მით იყო შესანიშნავი, რომ სცენის მოყვარეთა გარდა მონაწილეობას იღებდნენ მასწავლებელი ქალები; ზოგი ამათგანი პირველად გამოვიდა სცენაზე. **დ—ლი**

## ხმა საინგილოდან

ამ ნახევარი საუკუნის წინედ ერთს ღრმად მოხუცებულს ფშაველს,—რომელიც მოწმე იყო საქართველოს ბედის ცვალებადობისა მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, ეთქვა ფიხონში*) „ე მამალანიც-კი უწინდებულად აღარა ყივიანო"! მამალი აილე და მისი ყივილის შეცვლა დროთა ბრუნვის გამო, მაგრამ, ასეა თუ ისე, ამ ნათქვამში ცხოვრების ცვალებადობის იდეა გამოკრთის.

დიახ, იცვლება ადამიანთა და მათგან დამოკიდებულ სულიერ და უსულო არსებათა ცხოვრება; იცვლება ნიადაგი, ჰავა, ბუნება; იცვლებიან ბუნების მოვლენანი. ხოლო ეს ცვლილება ხდება, როგორც მეცნიერნი ამბობენ, თანდათანობით, წყნარად, უჩინარად, რომელსაც ადამიანი ეგუება, ეჩვევა, იტანს შეუმჩნევლადვე. ეს ხომ ასეა, მაგრამ შესანიშნავია და თან დამაფიქრებელიც ბუნების მოვლენათა ცვლილება ჩვენს ქვეყანაში ამ ბოლო წლებში, რომელიც ათანდათანობით კი აღარ სწარმოებს, არამედ მძლავრად და შეუსაბამო ნახტომებით იჩენს ხოლმე თავს. ბუნების მოვლენათა შეუსაბამო ნახტომად მიმაჩნია, მაგალითად, შარშანდელი თოვლი იმერეთში; შარშანდელივე ყინვები კახეთში; ახლანდელი თოვლი და ყინული საინგილოში და ბევრგან სხვაგანაც აპრილის შუა რიცხვებში. ბუნების მოვლენათა ამ გვარ ცვლილებებს, რომელთაც სამკვიდრო სასიცოცხლო გავლენა აქვთ ადამიანთა ეკონომიურ ცხოვრებაზე, ეჭვი არ არის, თავისი მახლობელი მიზეზები ექნება, რომელთა ახსნა-განმარტება მეცნიერთა საქმეა, ხოლო ჩვენი მოვალეობაა ფაქტის აღნიშვნა.

წარსულ ზამთარს, რომელმაც მშვიდობიანად დაიარა და ისრის დასაჭალად კი გულმა აღარ მოუთმინა, არც თოვლით და არც ყინვებით არავინ შეუწუხებია. პირიქით, მისი მადლიერია ყოველი არსი. მაგრამ ბრალი ის არის რომ თავის როლი გაზაფხულს აკისრებინა და ისიც აპრილს! ეს დაკისრება-კი, რომელიც აგრეთვე ბუნების მოვლენათა შეუსაბამო ცვლილებად არის მისაჩნევი, ფრიად მავნებელია ადამიანთა ცხოვრებისათვის.

ჩვენში, კახეთში, და საინგილოც ხომ კახეთის გაგრძელებაა, გაზაფხული თებერვლიდამ იწყება. ამ დროს „დგება ხეში წყალი". ჰაერი მეტს მოძრაობას იჩენს, ქარები ჩნდება:

„თებერვალი ბერავდა,
მარტი ტყავსა ჰკერავდა.."

მარტში ამინდი რყევაშია: „პატარძალივით დღეში ასჯერ მოირთვება", „ასჯერ გამოიცვლის გუნებას, თითქოს არკვევდეს რომ ზამთრის მანკი გაზაფხულს არ შეეპაროს, და ზამთრის ავ-კარგის გარჩევაში გადამწყვეტი ხმაც მას ეკუთვნის. ნათქვამია: „მარტი რომ წინ გედოს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო."

აპრილი უკვე ქვაუდამჯდარ თვედ არის მიჩნეული; მისი მოქმედება საიმედო და გარკვეულია:

„აპრილი გაჰქარებული
სახნის-საკვეთს ჰპირავდა.
აპრილმა „ლაპი" თქვა:
მთა და ბარი დატვიფა;
ხევ-ხუვი ზვავით აავსო,
ბექ-ბუქი ბალახითა."

აწ მდგომარე გაზაფხულს ამ გვარ ხასიათებს ვერ ვამჩნევთ: თებერვალმა თავისი არეული წუწკლიანი ამინდებით და თოვლ-ჭყაპით მარტის საქმე შეასრულა; მარტმა თავისი ხმელი სიცივეებით და გამუდმებული წარა-მარა ქარების ქროლვით-თებერვლისა; ხოლო აპრილმა რომელი თვის საქმე იკისრა აღარ ვიცი! ეს კია, რომ რაც თებერვალს, და მარტს მოუხდება, ის აპრილს არ შეშვენის.

აგერ დადგა აპრილიც. გამოვიდა აპრილის მთვარე. ჰაერში მეტი სითბო დატრიალდა. ბალახ-ფოთოლმა ზრდას უმატა. აყვავდა ყოველი ხეხილი. ვაზმა კვირტი გამოიწია. კაკლის ხეც კი, რომელსაც ამინდი ადვილად ვერ მოატყუებს ხოლმე, გაიფოთლა, ნაყოფი გამოაჩინა. ჩირთმა მაღალი მთის კალთებს მიაღწია, სადაც ჰავა-ადგილი თითქმის პოლიარულია. ახლა მარტის ქარებისაგან გამოფიტულ ნიადაგს მარტო წვიმაღა ესაჭიროება, და ყოველივე მცენარე სანატრელ მდგომარეობაში ჩავარდება. გაიდარდა კიდეც აპრილის ათში საღამოთი. ღამე წვიმას მოსვენება არ მისცა ცივმა კუდიანმა ქარმა, რის გამო დილა თოვლიანი გათენდა. აქამდე თუ მარტო ხეხილი იყო თეთრად გადაპენტილი, ახლა ყოველივეს თოვლის თეთრი სახურავი გადაეფარა.

გვინახავს თოვლი ამ დროს წინადაც, რომელიც აპრილის მზეს ნამზე ქარბუქივით გამქრალა, მაგრამ ახლა ასე არ მოხდა: თოვლი სამს დღემდე არ ადნა. 24° სითბო ხელად 0° ჩახტა. ამ უცებმა და შეუსაბამო ცვლილებამ დააზრო, მოუშუშა, „დაწვა", როგორც აქ ამბობენ, ვაზის კვირტი, ფურცლისა და კაკლის ფოთოლი ნაყოფიანად და სხვა ნაზი მცენარეულობა მთების ახლო მდებარე სოფლებში მთელს საინგილოში. აზარალა ტყეც. კაცმა რომ გაჰხედოს, მართლაც ცეცხლწაკიდებული ეგონება სოფლად კაკლისა და ფურცლის ხეები, ტყეში მუხისა. უამინდობისა და სიცივეების გამო ჯერაც არ არის გამორკვეული, გადარჩება რომელიმე ხეხილი თუ წამლადაც გაქრება ხილის ხსენება!

მცენარეთა გარდა, საქონელსაც დიდი ზარალი მიაყენა. ზამთრის ბინიდამ ველზე გასულს მოასწრო და დიდად ავნო არამც თუ წვრილფეხ საქონელს, არამედ ზოგან სხვილფეხსაც. **ფ—შვილი.**

*) ფიხონი—როცა სოფლის უფროსი კაცები მოცლილ დროს შეკუჩდებიან ერთს ადგილას და ნებაყოფლობით საუბარს გამართავენ ძველსა და ახალზე.

## მოგებათა ტირაჟი.

**ხუთას-ხუთასი მანეთი ერგო** ქვემოდ მოყვანილ მესამე მომგებიან ბილეთებს:

| №№ | №№ | №№ | №№ | №№ | №№ | №№ | №№ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სერ. | ფურც. | სერ. | ფურ. | სერ. | ფურ. | სერ. | ფურ. |
| 10 | 22 | 3723 | 35 | 8345 | 33 | 12194 | 19 |
| 89 | 37 | 3763 | 31 | 8367 | 29 | 12232 | 04 |
| 117 | 21 | 3814 | 46 | 8475 | 04 | 12475 | 34 |
| 144 | 01 | 3837 | 11 | 8527 | 19 | 12489 | 22 |
| 151 | 13 | 3853 | 10 | 8587 | 19 | 12577 | 03 |
| 155 | 47 | 3929 | 21 | 8713 | 47 | 12602 | 20 |
| 294 | 16 | 3949 | 28 | 8770 | 25 | 12615 | 43 |
| 323 | 40 | 4099 | 48 | 8779 | 43 | 12626 | 42 |
| 333 | 31 | 4218 | 49 | 8969 | 22 | 12677 | 02 |
| 336 | 45 | 4313 | 13 | 9005 | 48 | 12690 | 04 |
| 582 | 49 | 4369 | 13 | 9010 | 08 | 12709 | 07 |
| 613 | 02 | 4457 | 34 | 9129 | 39 | 12913 | 20 |
| 666 | 42 | 4570 | 07 | 9185 | 22 | 12919 | 48 |
| 698 | 25 | 4572 | 42 | 9296 | 14 | 12971 | 45 |
| 825 | 37 | 4574 | 29 | 9472 | 11 | 13025 | 46 |
| 872 | 41 | 4699 | 03 | 9495 | 48 | 13085 | 14 |
| 879 | 12 | 4780 | 02 | 9547 | 06 | 13125 | 09 |
| 1073 | 01 | 4856 | 10 | 9563 | 12 | 13133 | 36 |
| 1073 | 13 | 4941 | 43 | 9635 | 37 | 13214 | 10 |
| 1212 | 10 | 5130 | 36 | 9650 | 38 | 13234 | 13 |
| 1238 | 50 | 5189 | 36 | 9689 | 18 | 13438 | 40 |
| 1264 | 16 | 5203 | 48 | 9704 | 02 | 13461 | 14 |
| 1290 | 31 | 5256 | 13 | 9727 | 34 | 13520 | 31 |
| 1365 | 41 | 5271 | 11 | 9753 | 12 | 13567 | 18 |
| 1368 | 30 | 5306 | 01 | 9828 | 46 | 13577 | 16 |
| 1397 | 34 | 5307 | 07 | 9882 | 07 | 13591 | 09 |
| 1564 | 12 | 5418 | 49 | 9893 | 33 | 13622 | 04 |
| 1586 | 23 | 5467 | 15 | 9925 | 49 | 13641 | 06 |
| 1684 | 30 | 5490 | 06 | 10002 | 31 | 13772 | 14 |
| 1820 | 32 | 5518 | 48 | 10007 | 11 | 13839 | 46 |
| 1847 | 26 | 5542 | 32 | 10035 | 18 | 13906 | 46 |
| 1876 | 01 | 5682 | 14 | 10040 | 14 | 13912 | 27 |
| 1899 | 07 | 5833 | 15 | 10086 | 10 | 13941 | 07 |
| 1930 | 44 | 5866 | 08 | 10170 | 34 | 13979 | 11 |
| 1940 | 18 | 5927 | 48 | 10251 | 01 | 14077 | 07 |
| 2064 | 28 | 6075 | 13 | 10420 | 33 | 14092 | 46 |
| 2256 | 50 | 6076 | 08 | 10563 | 40 | 14243 | 50 |
| 2303 | 16 | 6097 | 16 | 10684 | 17 | 14268 | 03 |
| 2375 | 14 | 6250 | 20 | 10795 | 19 | 14293 | 18 |
| 2393 | 20 | 6287 | 22 | 10883 | 46 | 14326 | 39 |
| 2411 | 23 | 6329 | 44 | 11002 | 43 | 14416 | 08 |
| 2664 | 46 | 6389 | 21 | 11134 | 18 | 14506 | 22 |
| 2738 | 22 | 6571 | 05 | 11188 | 42 | 14517 | 39 |
| 2823 | 18 | 6713 | 29 | 11240 | 49 | 14525 | 10 |
| 2833 | 32 | 6866 | 36 | 11249 | 08 | 14668 | 49 |
| 2835 | 42 | 6926 | 04 | 11249 | 35 | 14704 | 37 |
| 2935 | 10 | 7017 | 45 | 11376 | 50 | 14887 | 25 |
| 2957 | 15 | 7060 | 32 | 11386 | 38 | 14911 | 39 |
| 3031 | 31 | 7360 | 07 | 11403 | 41 | 14976 | 31 |
| 3048 | 43 | 7451 | 18 | 11424 | 20 | 15058 | 42 |
| 3063 | 15 | 7570 | 15 | 11461 | 16 | 15134 | 04 |
| 3096 | 38 | 7590 | 02 | 11476 | 10 | 15186 | 39 |
| 3144 | 05 | 7775 | 23 | 11504 | 07 | 15187 | 24 |
| 3175 | 20 | 7820 | 19 | 11576 | 22 | 15196 | 05 |
| 3199 | 11 | 7935 | 06 | 11630 | 05 | 15266 | 29 |
| 3210 | 07 | 7937 | 09 | 11650 | 10 | 15536 | 14 |
| 3229 | 15 | 7956 | 41 | 11801 | 28 | 15588 | 39 |
| 3379 | 43 | 7972 | 08 | 11807 | 49 | 15602 | 43 |
| 3441 | 23 | 8015 | 34 | 11829 | 43 | 15661 | 16 |
| 3518 | 02 | 8041 | 36 | 11848 | 23 | 15705 | 27 |
| 3542 | 01 | 8108 | 33 | 11917 | 32 | 5854 | 19 |
| 3580 | 17 | 8122 | 31 | 11946 | 05 | 15901 | 28 |
| 3600 | 01 | 8144 | 30 | 11993 | 48 | 15940 | 35 |
| 3634 | 45 | 8211 | 20 | 12119 | 08 | 15955 | 13 |
| 3675 | 05 | 8305 | 06 | 12136 | 29 | 15968 | 11 |

**ტირაჟში გამოვიდა:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 30 | 3874 | 7185 | 10156 | 12870 |
| 41 | 3992 | 7232 | 10180 | 12912 |
| 80 | 4006 | 7255 | 10251 | 12971 |
| 328 | 4074 | 7305 | 10331 | 13009 |
| 538 | 4321 | 7427 | 10367 | 1 3014 |
| 437 | 4344 | 7583 | 10427 | 13161 |
| 670 | 4450 | 7628 | 10450 | 13261 |
| 720 | 4606 | 5676 | 10491 | 13365 |
| 945 | 4762 | 7679 | 10643 | 13562 |
| 996 | 4800 | 7692 | 10655 | 13590 |
| 1019 | 4925 | 7747 | 10797 | 13601 |
| 1055 | 4987 | 7817 | 10817 | 13623 |
| 1122 | 4998 | 7827 | 10828 | 13641 |
| 1131 | 5066 | 7931 | 10857 | 13906 |
| 1205 | 6068 | 7973 | 10908 | 14243 |
| 1313 | 5113 | 8007 | 11252 | 14258 |
| 1374 | 5218 | 8013 | 11346 | 14300 |
| 1469 | 5244 | 8018 | 11356 | 14349 |
| 1526 | 5292 | 8025 | 11367 | 14355 |
| 1533 | 5314 | 8054 | 11438 | 14453 |
| 1599 | 5387 | 8081 | 11472 | 14528 |
| 1601 | 5404 | 8119 | 11490 | 14700 |
| 1647 | 5483 | 8481 | 11498 | 14762 |
| 1752 | 5514 | 8497 | 11728 | 14837 |
| 1845 | 5591 | 8526 | 11830 | 14872 |
| 1851 | 5752 | 8530 | 11889 | 14877 |
| 1957 | 5821 | 8575 | 11930 | 14926 |
| 1965 | 5868 | 8625 | 11982 | 15001 |
| 2140 | 6058 | 8763 | 12025 | 15058 |
| 2842 | 6079 | 8845 | 12035 | 15106 |
| 2358 | 6209 | 9024 | 12102 | 15142 |
| 2526 | 6226 | 9134 | 12161 | 15312 |
| 2999 | 6334 | 9196 | 12186 | 15321 |
| 3063 | 6501 | 9201 | 12246 | 15369 |
| 3190 | 6505 | 9416 | 12252 | 15371 |
| 3265 | 6628 | 9487 | 12351 | 15402 |
| 3472 | 6642 | 9542 | 12442 | 15403 |
| 3503 | 6680 | 9619 | 12484 | 15436 |
| 3519 | 6733 | 9656 | 12528 | 15540 |
| 3525 | 6737 | 9862 | 12535 | 15591 |
| 3554 | 6741 | 9932 | 12640 | 15661 |
| 3705 | 6902 | 9937 | 12726 | 15865 |
| 3735 | 6908 | 10000 | 12797 | 15902 |
| 3840 | 7133 | 10002 | 12839 | 15923 |

ტირაჟში გამოსულ ბილეთებში ბანკი იძლევა 140 მან. 1912 წ. 1 აგვისტოდან, ამ ფულის მიღება შეიძლება სახელმწიფო ბანკის ყველა განყოფილებაში, ხოლო სადაც ბანკის განყოფილება არ არის, ხაზინაშიაც.

## ოსმალეთ-იტალიის ომი

### დეპეშები

**სტამბოლი.** შაბათსა და კვირას სავაჭრო გემებმა დარდანელი მშვიდობიანად გაიარეს.

იტალიელებმა საკუთარი წესწყობილება შემოიღეს კუნძ. როდოსზე და მოითხოვენ გადასახადსა და ბაჟს იტალიის კანონების მიხედვით. „ერთობისა და პროგრესის" კომიტეტის ყველა წევრი დაუპატიმრებიათ.

როდოსში მდგარი ოსმალეთის რაზმი სამხედრო წესისამებრ დაემორჩილა მტერს. მერმერისს ზარბაზანი დაუშინეს და ყაზარმა დააზიანეს. იტალიელთა გემები ხიოსის წყლებში უნახავთ,

## არეულობა სპარსეთში

**თავრიზი.** საღამოს რუსის ჯარის რაზმი შეეცადა ერთი სპარსელის დაჭერას. სადღაც თოფი გავარდა. ორი კაცი დააპატიმრეს, სხვათა შორის მსროლელი პოლიციელი, რომელიც მთვრალი ყოფილიყო.

**თავრიზი.** მოჯალალ-უს-სალტანემ ხენეჯიდან თავრიზის ვაჭრებს თხოვნა გაუგზავნა, რაც შეიძლება ბევრი ტყვია-წამალი გამომიგზავნეთო. შუჯა-ულ-დოულემ ყველას აუკრძალა თხოვნის ასრულება.

**თეირანი.** განთქმული ეფრემი მტრმედ დაუჭრიათ.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოს)

### საზღვარ-გარედ.

9 მაისი.

**ხოლმშჩინის გამოყოფის გამო.**

**ლვოვი.** 6 მაისს ხოლმშჩინის გამოყოფის გამო რამდენიმე კრება გამართეს. კრებებში ხალხი ათასობით იღებდა მონაწილეობას და მიცკევიჩის ძეგლისაკენ გაემართა.

**ალბანელთა მოძრაობა.**

**სტამბოლი.** ამბობენ, ალბანელთა მოძრაობას უხელმძღვანელებენ ისა ბელეტინაცი, მაჰმუდ ზაიმი, ასანი და იახია ყველა მოთავე დიაკოვოში ყოფილა.

**უსკიუბი.** აჯანყებული ალბანელები მარტო იმ შეღავათს ვერ დასჯერდებიან, შარშან მალისორებს რომ მიანიჭეს. ალბანელები სრულ ავტონომიას მოითხოვენ. აჯანყების მიდამოებში ოსმალეთს 30 ათასი ჯარისკაცი ჰყოლია.

**სტამბოლი.** ალბანიაში კიდევ გზავნიან ჯარსა. მთავრობას უნდა სათავეშივე ჩააქროს მოძრაობა.

**ბულგარეთი და ოსმალეთი.**

**სოფია.** ბულგარეთის საზღვარზე ერთი ჯარის კაცი მოუკლავთ, რის გამო სამ დღეს არ შეწყვეტილა სროლა. დაუჭრიათ ერთი ბულგარელი. ოსმალებისათვისაც რამდენიმე კ ცი დაუჭრ-დაუხოციათ. მშვიდობიანობა აღადგინეს. გამოძიება სწარმოებს.

**შვეციის პარლამენტი.**

**სტოკჰოლმი.** რიკსდაგის წევრმა სოციალ-დემოკრატებმა შეიტანეს შვეციის სამუდამოდ ნეიტრალიზაციის კანონ-პროექტი. გარეშე საქმეთა მინისტრმა პროექტის წინააღმდეგ ილაპარაკა. მინისტრმა განაცხადა, როგორც აქამდე, ისე შემდეგაც, შვეცია მსოფლიო პოლიტიკის გარეშე იქნება და ყოველ ღონეს იხმარს ნეიტრალიტეტის შესანარჩუნებლადაო.

კანონ-პროექტი კენჭის უყრელად უარჰყვეს.

### რ უ ს ე თ ი

**მრეწველთა კრება.**

**პეტერბურგი.** მრეწველთა კრებამ თავმჯდომარედ აირჩია სახელმწიფო საბჭოს წევრი კრესტოვნიკოვი. ავდაკოვისა და კრესტოვნიკოვის სიტყვათა პასუხად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და ვაჭრობის მინისტრმა სიტყვა წარმოსთქვეს. მათს სიტყვებს სააგენტო ხვალ გადმოსცემს

## თეატრი და ხელოვნება

**სახალხო სახლი.** დღეს, საღამოს ქართულ სცენის მოყვარეთა მიერ, ო. ლეჟავას, ჩიქოვანის და სვიმონიძის მონაწილეობით და წუწუნავას რეჟისორობით წარმოდგენილი

იქნება: „სოფლის გმირები“ პ. ირეთელისა. სიუჟეტი აღებულია ნინოშვილის მოთხრობიდან „ჩვენი ქვეყნის რაინდი“. ადგილების ფასი 1 მანეთიდან 15 კაპ.

**სალიტერატურო დილა** სახალხო სახლში. კვირას, 6 მაისს, სახალხო სახლში ნაფიცი ვექილის თანაშემწემ **გ. ჟორდანიამ** წაიკითხა ლექცია ხალხის ჩვეულებაზე. შემდეგ შესდგა სალიტერატურო-სამუსიკო დილა.

ლექტორმა განმარტა, თუ რა არის ხალხის ჩვეულება-ადათები, საიდან წარმოსდგა და რა გავლენა აქვთ მათ ხალხის ცხოვრებაზე. ჩვეულება-ადათები, ეს ისეთი ღრმა რწმენა-შეხედულებას წარმოადგენს, ფესვებს იდგავს საზოგადოებაში და ამა თუ იმ გავლენას ახდენს მათ ყოფა-ქცევაზე. ასეთი სხვა და სხვა რწმენა-შეხედულებანი იბადებოდა და ფეხს იკიდებდა საზოგადოებაში სხვა და სხვა ისტორიული პირობების წყალობით. პირველად სანამ საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარდებოდა და გაჩნდებოდა კანონმდებლობა, პირველ-ყოფილ საზოგადოებათ, თემებს და სხვა და სხვა გვარეულობათა ცხოვრებას განაგებდა მტკიცე და შეურყეველი ჩვეულება-ადათები. დამნაშავეს ასამართლებდა თვითონ ხალხი, თემი ჩვეულებათა მიხედვით: ქურდს პირზე მურს უსვავდნენ, და ისე ატარებდენ, ან ვირზე შესვავდენ, ან კიდევ თავს ლაფს დაასხავდენ. მაგრამ ჟამთა-ვითარებისა და საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებისა გამო ასეთი ჩვეულებანი გაჰქრა და დღეს ჩვენ მათი მოგონება დაგვრჩა მხოლოდ საწყევარ სიტყვებად: შე პირშავო, შე, თავ-ლაფ-დასხმულო.

ჩვეულების ერთი უმთავრესი დამხასიათებელი თვისებათაგანია პორტიკულიარიზმი, ანუ კერძოობა, განკერძოება. ამა თუ იმ საზოგადოების ერთეულებში სხვა და სხვა ჩვეულება არსებობს ამ საზოგადოებრივი ერთეულების განსაკუთრებული პირობების გამო, თვით ერთი სოფლის სხვა და სხვა უბანშიაც კი სხვა და სხვა ჩვეულება აქვთ. მეორე თვისება არის სიმბოლიზმი, ანუ გარეგანი გამოხატულება ჩვეულებისა. მაგ. ხელის ჩამორთმევა რაიმე პირობის დადების დროს. აქედან წარმოსდგა სიტყვა ხელ-შეკრულობა:

მესამე თვისება ჩვეულებისა არის კონსერვატიზმი, არსებულის მტკიცედ დაცვა. ერთხელ გაჩენილი ჩვეულება ღრმად იდგავს ფესვებს ხალხის ცხოვრებაში, მის ფსიხოლოგიაში და ძალიან ძნელად-ღა ისპობა.

ჩვეულება-ადათი განსაკუთრებით სოფლად არის მტკიცედ შენახულნი და იმდენად უფრო წმინდად, რამდენადაც ესა თუ ის ქვეყანა კულტურულად არის დაქვეითებული; ასეთ ქვეყნებში თემური, ძველი საზოგადოებრივი ცხოვრება ჯერ კიდევ არ არის დარღვეული და აი ამიტომაც მეცნიერები დიდ ყურადღებას აქცევენ ასეთ ქვეყნების სოფლის ცხოვრებას. ისინი აქ პოულობენ საზოგადოებრივ უფლებრივ ცხოვრების სათავეს და შემდეგ კანონმდებლობის განვითარების ისტორიულად ამის მიხედვით სწავლობენ.

კანონმდებლობის წარმომშობი იგივე ჩვეულება-ადათებია. ამიტომ კანონმდებლობა უარს არ უნდა ჰყოფდეს, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ჩვეულებას. არამედ, რამდენადაც კი ეს საჭიროა საზოგადოებისათვის, იმდენად უნდა გამომდინარეობდეს და ემყარეობდეს მათზე.

ბოლოს ლექტორმა სთქვა, რომ ვისაც უნდა ღრმად ჩიიხედოს ხალხის ცხოვრებაში, მის ფსიხოლოგიაში, ვისაც უნდა რომ ჭეშმარიტად და პირნათლად ემსახუროს ხალხს, მან როგორც თეორეტიულად, ისე პრაქტიკულად უნდა შეისწავლოს ხალხის ჩვეულება-ადათი, რომ მისი მოღვაწეობა მართლაც ნაყოფიერი იყოს.

ლექციამ საუცხოვო შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე, ლექტორი ხანგრძლივის ტაშის ცემით დააჯილდოვეს.

შემდეგ გაიმართა სალიტერატურო-სამუსიკო დილა; ნ. ჩხიკვაძემ წაიკითხა ლექსები, პ. ირეთელმა-—იუმორისტული ნაწყვეტი. მოსწავლე ბავშვების გუნდმა კარგად შეასრულა რამოდენიმე ქართული სიმღერა ბავშვისავე ლოტბარობით. ხალხი ნასიამოვნები დაიშალა.

ი. ი—ი.

**სამტრედია.** ტფილისის ქართულმა დასმა სამტრედიაში ორი წარმოდგენა გამართა მარიამ საფაროვ-აბაშიძის მონაწილეობით. საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა. დასს გაუმართეს ბანკეტი, რომელსაც დიდძალი საზოგადოება დაესწრო.

## წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით უგულითადესი მადლობა გადაუხადო ქვემოთ დასახელებულ პირთ, რომელთაც ს. გუბის **აკაკის** სახელობის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს აღმოუჩინეს დახმარება: ალექსი ივლიანეს ძე ნაკაიძემ 1 მან. ადესის უნივერსიტეტის ლაბორანტმა იასონ პავლეს ძე მოსეშვილმა 5 მან. ქუთ. ქართული გიმნაზიის მასწავლებელმა გიორგი სიმონის ძე სვანიძემ აპრილის თვის გადასახადი 5 მან. ლიუბა მოსეშვილისამ წიგნი 1 მან. ბართლომე პ. მოსეშვილმა წიგნი 1—20 კაპ. სულ 13—20 კ.

ს. გუბის უფასო წიგნთ საცავ-სამკითხველოს მზრუნველი კომიტეტის მონდობილობით კომ. წევრი **ვლადიმერ მოსეშვილი.**

უმორჩილესად გთხოვთ ეს წერილი დაგვიბეჭდოთ.

29 აპრილს 1912 წელს **ხონის ქალთა წრემ** გამართა სეირნობა ხონის სავაჟო გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ. შემოსავალი იყო 346 მ. 81 კ. ხარჯი—66 მ. 39 კ. დარჩა 280 მ. 72 კ., რომელიც ზემოხსენებულ საქმისათვის გადაიდო.

ულრმეს მადლობას ვუცხადებ ქალბატონთ: ე. ვ. ბახტაძეს, ე. ი. ქიქინაძეს, დ. ი. ბერძენიშვილს, ს. დ. გლუშაკოვისას, ე. დ. ნიჟარაძეს, ნ. ი. მამალაძეს, ა. ს. ივანოვისას გ. გ. აბაშიძეს, დ. ი. ჩხიკვიშვილს (შემოსწირა 15 მ.) და სხვათა, რომელთაც სეირნობას ხელი შეუწყეს შეწირულებით თუ პირადის გარჯილობით.

**ხონის სავაჟო გიმნაზიის ინსპექტორი.**

ბატონო რედაქტორო!

ვინაიდან ეს ორი დღეა ქალაქ ტფილისიდან გასული გახლდით, საშუალება არა მქონდა თავის დროზე წამეკითხა და ჩემი პროტესტი გამომეცხადებინა ვიღაცა ზიგზაგისათვის, რომელიც „ტფილისის ლისტოკში“ ჩასაფრებულა და უკადრისად ახსენებს თამარ მეფის სახელს, იმ თამარ მეფის, რომელიც ქართველ ხალხისათვის წმიდაა და პატივსაცემი. მე, როგორც ერთ ერთი სომეხი ინტელიგენტი, ჩემს პროტესტს ვუცხადებ ზიგზაგს.

მხოლოდ ერთი გარემოება ძლიერ მაკვირებს: სრულებით ვერ ამიხსნია, იმისთანა ზრდილობიანი და პატივსაცემი ადამიანი, როგორიც ამ გაზეთის რედაქტორი ბ. ალექსანდრე ქიშმიშოვია, როგორ უშვებს ამ გვარ „წერილებს“ თავის რედაქტორობით გამოსულ გაზეთში.

ა. კ—ნც.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.


## განცხადებანი

**გაფრთხილებით უფრო ადვილია სნეულების აცილება, ვიდრე მისი მორჩენა.** ეს უნდა ახსოვდეს ყველას, ვინცა სცხოვრობს გადამდებ სნეულებიან ადგილას: (ხოლერა, სახადი, ყვავილი და სხვა). გადამდებ სენისა და ეპიდემიურ ავადმყოფობათა ასაცილებლად, როგორც ნაცადია, საუკეთესო საშუალება სიფაქიზეა.

აუცილებლად საჭიროა, ყოველთვის პურის ჭამის წინ არამც თუ დაიბანოთ ხელები, არამედ დეზინფექციაც გაიკეთოთ. ამისთვის კი განსაკუთრებით კარგია გადამდებ სენის მოდების წინააღმდეგ საგანგებოდ დამზადებული **„№ 4711 სამკურნალო საპონი“** № 4711 Медицинскія мыла“.

როგორ უნდა იხმაროთ, ეს აწერილია (რუსულად და გერმანულად) საპნის გასახვევ ქაღალდზე.

განსაკუთრებით გირჩევთ: „№ 4711 კარბოლის საპონი“ (ავადმყოფთა საცვლების გასარეცხადაც კარგია), „№ 4711 მდოგვის საპონი“ და № 4711 სულემას საპონი“.

„№ 4711 სამკურნალო საპონი“ იშოვება ყველა აფთიაქებსა, სააფთიაქო და საპარფიუმერიო მაღაზიებში, თითო ნაჭერი ორი შაურიდან დაწყებული.

სყიდვის დროს, ყურადღება მიაქციეთ, ყოველ ნაჭერს ეწეროს „№ 4711“ მხოლოდ ეს იქნება თავდები, რომ საპონი კარგის ღირსებისაა. Метцль 184053. (4.1218.1)

## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

„606“ — **11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი** —2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**

(წ. 1074.46)

## ყოველ-დღე მოგვდის:

**ახალ-ახალი** ხიზილალა (ქიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ყოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—56)

## თევზის მრეწველნი ძმ. ძებველოვები.

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9. ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.**

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება უცხო ენიდან ნათარგმნი წიგნები:**

აივენგო. ვოლტერ სკოტი.ფ. —1 მ. კ.
ათი მოთხრობა. 20 „
ამბავი და მოთხრობანი. ნათ. გ. ყიფშიძისა 15 „
აზიის მნათობი. ინდ. თქმულება. 10 „
ადამიანის ცხოვრება. 50 „
აღდგომა. ტოლსტ. 1—
ასის წლის შემდეგ. 1—
ბავშვის მოვლა. ნათ. ვას. მაჩ. 40 „
ბარტექ ძლევა მოსილი. სენკ. 20 „
გლეხი კაცის ისტორია. 2—50 „
გლეხი კაცი. პოლენცოსი. 1
დონ-კიხოტი. ნათ. ნ. ავალ. 2—
დონ-კიხოტი. შემ. ნათ. დ. ყიფ. 25 „
დაკარგული სამოთხე. 40 „
დემონი. გურიელის ნათ. 10 „
ვაი ჭკუისაგან. ნათ. განდ. 35 „
ზვიმა. ქინაქინის ამბავი 10 „
თხუზულებანი პუშკინისა. 50 „
იუდა. ლექსი ნადსონისა. ნათ. ი. ფერ. 5 „
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა. 50 „
კაიაფის ვაჟიშვილი. ნათ. ყუბ. 50 „
ლედი ჯენ. ჯემისონისა. 35 „
მიჯაჭვული პრომეთე, ედიპე-მეფე, მედია. 50 „
მარსელიელნი. ნათ. ელ. ანტ. 25 „
მაკბეტი. ივ. მაჩაბლ. ნათ. 40 „
მეუფება წყვდიადისა ლ. ტოლს. 40 „
მაზეპა. 20 „
მოლიერი. 50 „
ნაძირალნი, გორკ. 25 „
ნარკვევი ინგლისის ისტორიიდან 25 „
ორი ეტიუდი. რუბაკინი. 20 „
ოქროს მოყვარულნი. 15 „
რამას განდევნა. ნათ. ალ. სარაჯ. 40 „
რომანიდან „93 წელი“. ჰიუგოსი 20 „
სპარტაკი. 60 „
შავი სპარტაკი. 40 „
ცეცხლითა და მახვილითა. ნათ. გ. ყიფშ. 1—60 „

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред груз. насел. (წ. 1141.40)

**ჭურჭლეულისა და ავეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,** ქუთაისში ბაზარში

ყოველთვისა გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ქაშანურის ჭურჭელი, ბროლისა და მინის საჭურჭლე; ფერმაჟისა და საზღვარ-გარეთის ლამფები, საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კასტრიულები და სპილენძის ჭურჭლეულობა, სამოვრები, კოვზ-ჩანგლები და ყოველგვარი სასტუმრო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვენური, მოხრილი ხისა და ლერწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა. ინგლისისა და ვარშავის კრაოტები, დოშაკები, კედლისა და საპირფარეშო სარკეები. კლიონკა და იატაკზე საფენები. საზღვარ-გარეთისა და რუსეთის გიტარები, ფირფიტები და ყოველნაირი და ყოველ-ხარისხის სიმები, პიანინო სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები, არმატურები და მოწყობილებანი, ორთქლით-მრეცხავები (პრიმუსები) ახალის სისტემისა და საეკლესიო ნივთეულობა. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთ. გუბ. და ბათომის ოლქის წარმომადგენლობაც: გვაქვს **საწერი მანქანა „ტორპედოსი“.** ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ. 1236.6)

# ქუთაისის მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ხსენებულ ბანკის წესდების მე-17 §-ის ძალით, **1912 წელს, ივნისის** ქვემოხსენებულ რიცხვებში, შუადღის 12 საათიდან, ბანკში შესატან გადასახადების წარმოუდგენლობის გამო, მოხდება **საჯარო ვაჭრობა,** ვაჭრობის განუმეორებლად, რომელზედაც გაიყიდება ქვემო ჩამოთვლილი უძრავი ქონებანი.

ბანკის წესდების მე-18 §-ის ძალით, მსესხებელთ შეუძლიანთ შემოიტანონ ბანკის კუთვნილი ნედოიმკები, პროცენტებით ვადის გადაცილების გამო და სხვა ხარჯები, რომელიც გამოიწვია ქონების გასასყიდად დანიშვნამ— პირველ ვაჭრობის დაწყებამდე, ხოლო თუ პირველი ვაჭრობა არ მოხდა, ყოველივე ეს მსესხებელმა უნდა წარმოადგინოს მეორე საჯარო ვაჭრობის დაწყებამდე და ამით გაანთავისუფლოს თავისი ქონება გაყიდვისაგან.

გადასახდელი ფული შეიძლება შეტანილ იქმნას: ვაჭრობის დღემდე—**ქუთაისში,** ბანკის კასაში; — **ტფილისში,**—ბანკის სააგენტოში, ტფილისის საკომერციო ბანკში, აზოვ-დონის და ვოლგა-კამის საკომერციო ბანკის განყოფილებაში და „ა. ფრიდონოვის და ამხ.“ საბანკო კანტორაში; — **ბათომში,** ტფილისის საკომერციო ბანკისა და შეერთებულ ბანკების განყოფილებებში; — **ფოთში, სოხუმში** და **ზუგდიდში** ადგილობრივ საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში, ხოლო ვაჭრობის დღეს, ვაჭრობის დაწყებამდე, **მხოლოდ იქ, სადაც საჯარო ვაჭრობა მოხდება—ბანკის გამგეობაში, ქუთაისში** და **ბანკის სააგენტოში, ქ. ქუთაისში.**

ამასთან ერთად ბანკის გამგეობა იწვევს ბ-ნთ მსესხებელთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ნედოიმკები ვაჭრობის რამდენიმე დღის წინად შეუტანიათ ბანკის კორესპონდენტებთან, სწრაფის დეპეშით აცნობონ გამგეობას ფულის შეტანის შესახებ იმ დაწესებულებათა საშუალებით, სადაც ფული შეუტანიათ. ბანკის გამგეობა მინამ არ მიიღებს დეპეშით ცნობას კორესპონდენტთან ფულის შეტანის შესახებ, ფული წარდგენილად არ ჩაითვლება და ამიტომ უძრავ ქონებას ვაჭრობიდან არ მოხსნიან.

ბანკის წესდების იმავ მე-19 §-ის თანახმად, როგორც პირველი, ისე მეორე—უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა მოხდება იმ უძრავ ქონების გასასყიდად, რომელიც ტფილისსა და ტფილისის გუბერნიაშია—**ბანკის სააგენტოში, ქ. ტფილისში, სოლოლაკის ქუჩაზე, № 10,** ხოლო დანარჩენ ქონებათა გასასყიდად **ბანკის სადგომში, ქალაქ ქუთაისს რიჟინაშვილის სახლში, სობოროს მოედანზე.**

ბანკის მე-20 §-ის ძალით ვაჭრობა დაიწყება იმ ჯამიდან, რომელიც ირიცხება ქონებაზე სხვა და სხვა ხარჯებით, როგორც გაყიდვის გამო, ისე სხვა გაწეულ ხარჯებისა ე. ი. ქვემოდ აღნიშნულ ძირითად ვალისა და ნედოიმკების და აგრეთვე იმ გადასახადებისა, რომელსაც უპირატესობა ეძლევა ბანკის ვალებთან შედარებით, ე. ი. სახელმწიფო, საერობო (ან საქალაქო) და ყოველნაირ გაწეულ ხარჯების დამატებით. თავნი ვალი შეიძლება გადატანილ იქმნეს მსყიდველზე ან გადახდილი იქმნას, ხოლო ყოველნაირი ნედოიმკა შეტანილ უნდა იქმნეს ნაღდ ფულად.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველმა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს ნაღდ ფულად **ბე,** რომელიც უნდა უდრიდეს ნედოიმკებისა და სხვა გადასახადების ჯამს, რომელიც ირიცხება ქონებაზე.

მე-21 მუხლის ძალით საჯარო ვაჭრობა კანონიერად ჩაითვლება თუ მამულზე დადებულ ფასის გარდა (მუხლი 20) ზედ-მეტი ფასიც შეაძლიეს.

საჯარო ვაჭრობაზე შეძლეული ფასი—მე-20 მუხლში მოხსენებულ სათავდებო თანხის გამოკლებით, რომელიც გადადის ბანკის ვალის ძირითად ვალზე, აგრეთვე შეძენილ მამულების დამტკიცების საბუთების ხარჯი —მყიდველმა უნდა წარადგინოს საჯარო ვაჭრობის შემდეგ თოთხმეტი დღის განმავლობაში.

უკეთუ 14 დღეში არ შეიტანს, მყიდველს ეკარგება საჯარო ვაჭრობაზე შეტანილი ბე, რომელიც დარჩენილ გადასახადების გასასტუმრებლად გადაიდება და იმ ხარჯების დასაფარავად, რაც გამოიწვია მამულის საჯარო ვაჭრობით გაყიდვამ, აგრეთვე გასასყიდ მამულზე დარჩენილ ბანკში შესატან გადასახადის გასასტუმრებლად. ხოლო მამული კი დარჩება ვალის გადაუხდელ მამულის პატრონს.

როგორც პირველი, ისე განმეორებითი ვაჭრობა იქმნება მხოლოდ სიტყვიერი, დაბეჭდილ კონვერტებით წარდგენილი ფასები არ მიიღება. არავითარი უპირატესობა საჯარო ვაჭრობაზე არ ეძლევათ იმ პირთ, რომელთაც ბანკის შემდეგ დამატებითი გირავნობა აქვთ; ამათ შეიუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში სხვებთან თანასწორ პირობებში.

ვისაც სურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, შეუძლიან ბანკის გამგეობაში ინახულოს საქმის წარმოება გასასყიდ მამულისა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე.

## პირველი საჯარო ვაჭრობა დანიშნულია:

ა) 4 ივნისისათვის—იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქალაქ ტფილისსა და ტფილისის გუბერნიაშია.

ბ) 9 ივნისისათვის—იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქალაქ ქუთაისშია.

გ) 12 ივნისისათვის—იმ უძრავ ქონებათა, რომელიც ქუთაისის გუბერნიის სხვა ქალაქებსა და დაბებშია.

და დ) 15 ივნისისათვის—იმ უძრავ ქონებათა, რომლებიც ქუთაისის გუბერნიის სოფლებშია და აგრეთვე იმისა, რომლებზედაც გაცემულია მოკლე-ვადიანი სესხი.

## განმეორებითი—უკანასკნელი საჯარო ვაჭრობა დანიშნულია:

ა) 20 ივნისს—იმ მამულებისა, რომელიც იმყოფება ტფილისსა და ტფილისის გუბერნიაში.

ბ) 25 ივნისს—ქუთაისში მდებარე მამულებისა.

გ) 27 ივნისს—სხვა და სხვა ქალაქისა და ქუთაისის გუბერნ. დაბაში მდებარე მამულებისა.

და დ) 30 ივნისს—ქუთაისის გუბერნიის სოფლის მამულებისა და იმ მამულებისა, რომელიც მოკლე ვადიან სესხშია დაგირავებული.